ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 5 აპრილი, 2021 | №56 (8585) | ფასი: 60 თეთრი

## ნელი დოროყაშვილი ნიკა ბასილაშვილისგან ბავშვისთვის წელიწადში 100.000 ლარს ითხოვს



გვ.5

# „გახარიას ბედი ადგილობრივ არჩევნებზე გადაწყდება“



გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლებასთან ერთად, ხალხს იმედი ოპოზიციამაც გაუცრუა. შეეძლოთ, რაღაც მაინც დაეთმოთ“





გვ.2

## „საქართველომ, შესაძლოა, ევროკავშირის მხარდაჭერა დაკარგოს“

სერგი კაპანაძე: „ოცნებაში“ ფიქრობენ, რომ გაღვივებული კრიზისის ფონზე მღვრიე წყალში კარგად ითევზავებენ“

## „20 ივნისის შემდეგ თბილისი გახარიას არ მიიღებს“



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ოპოზიციონერ დეპუტატებს ვთავაზობ, პარლამენტს განცხადებით მიმართონ, რომ ისინი დეპუტატობასთან შეუთავსებელ საქმიანობას ეწევიან“

## ანზორ აბრალავა: „ოპოზიცია „15 მაისის შტაბი“ კი არა, ახალი შულავერის კომიტეტი შექმნა“



გვ.4

## გიორგი კეპულაძე: „ჩვენი ეკონომიკა ნორმალურ მდგომარეობას 2022 წლის ბოლოს დაუბრუნდება“

გვ.3





## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველო ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის ხიდი უნდა გახდეს“

ISSN 1987-9385

5 620.000 ევროს მითვისებისთვის დაკავებულია 11 პირი
ჯგუფის ხელმძღვანელს ანგარიშებზე 2 მილიონი ლარი ჰქონდა

5 „ზაზას ცხინვალის ციხეში ეუბნებიან, რა გაუხდა შენს მთავრობას, 1 ოსში რომ არ გცვლიანო“

5 შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

6 ვატიკანში კათოლიკურმა ეკლესიამ აღდგომა მრევლის გარეშე აღნიშნა

# „საქართველომ, შესაძლოა, ევროკავშირის მხარდაჭერა დაკარგოს“

## სერგი კაპანაძე: „ოცნებაში“ ფიქრობენ, რომ გაღვივებული კრიზისის ფონზე მღვრიე წყალში კარგად ითევზავებენ“

იაგო ნაცვლიშვილი



რამდენად რეალურია ევროკავშირის მუქარა, რომ საქართველოს შეუწყდება ფინანსური მხარდაჭერა, თუ პოლიტიკური კრიზისი არ იქნება დაძლეული? რა პასუხისმგებლობას გრძნობს ოპოზიცია ამ პროცესში? რა არის ის მაქსიმალური კომპრომისი, რომელზე წასასვლელადაც არის მზად და რატომ ამბობს ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით პლებისციტზე უარს? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე საუბრობს.

***– ევროპარლამენტარების განცხადებებში საკმაოდ მკაფიო გზავნილებია. გასაგებია, რომ მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, თუმცა ოპოზიციაზეც არის საუბარი. თქვენ, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, გრძნობთ თუ არა გარკვეულ პასუხისმგებლობას იმ საფრთხეებზე, რომლებზეც საუბარია, რომ შესაძლოა, ქვეყანას ფინანსური დახმარება შეუჩერდეს?***

– ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური ძალა, ჩვენს წილ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ჩვენი კომპეტენციისა და უფლებამოსილების შესაბამისად. ჩვენი საქმიანობის ფარგლებში არის რაღაც საკითხები, რომლებზეც შეიძლება, გავლენა მოახდინო. მაგალითად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ის, რომ იმ ხუთ საკითხზე, რომლებიც თავდაპირველად შემოგვთავაზა ბატონმა მიშელმა და რომელთა შემადგენლობაშიც არის: არჩევნების საკითხი, პოლიტიკური დევნის დასრულება, სასამართლო რეფორმა, საარჩევნო რეფორმა და ძალაუფლების განაწილება. ამ საკითხებზე თუ იქნება გონივრული წინადადება, რომელიც იქნება ქვეყნისთვის კარგი, ამაზე რომ არ ვთქვათ უარი, ეს არის პასუხისმგებლობა და, რა თქმა უნდა, ასეც ვიქცევით.

შემოთავაზებული დოკუმენტიდან 3 პუნქტზე ვიყავით თანახმა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმებით, თუ არჩევნებისა და პოლიტიკური დევნის საკითხები არ არის შეთანხმებული. ეს ძალიან დიდი ხანია, ნათქვამი გვაქვს. ამიტომ ჩვენი პასუხისმგებლობა და ჩვენი ბრალი იქნებოდა, თუ იქნებოდა გონივრული წინადადებები და ჩვენ ამაზე უარს ვიტყოდით.

მეორე, მე კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ სასამართლო დღეს დამოუკიდებელი რომ არ არის, ეს რამენაირად ოპოზიციის ბრალია, ან არჩევნები რომ გაყალბდა და არ ტარდება კარგად, ან პოლიტიკური პატიმრები რომ გვყავს, ეს რამენაირად ოპოზიციის ბრალია, ან პარლამენტში ძალაუფლების განაწილება რომ არ არის, ეს ოპოზიციის ბრალია რაიმე თვალსაზრისით. ამას არ ვეთანხმები არავითარ შემთხვევაში, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს გაჟღერებული. თუ ვინმე ამას ამბობს, მზად ვარ, ვედებატო ბოლომდე, იმიტომ, რომ ასეთი რაღაცა ბუნებაში არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ამ მცდელობებში პრობლემა რომ არის, ეს ხელისუფლების ბრალია.

იმ განცხადებაში, რომელიც ახსენეთ, ევროპარლამენტარების მხრიდან ნამდვილად არის ორივე მხარის პასუხისმგებლობაზე საუბარი და იქვე წინადადება გრძელდება და ხაზგასმულია, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას.

***– ჩამოთვალეთ საკითხები, რომ არ ეთანხმებით, რომ ეს ოპოზიციის ბრალია და რატომ გაუსვით ამას ხაზი, ვინმე ამბობს ამას?***

– იმიტომ, რომ როდესაც ამბობენ, რომ ორივე მხარის პასუხისმგებლობაა, იქ ეს პრობლემებია იდენტიფიცირებული და ამაზე უნდა იყოს შეთანხმება. ოპოზიციის პასუხისმგებლობა რაში გამოიხატება, მე არ ვიცი. ამბობენ, რომ პოლიტიკური დევნა უნდა დასრულდეს და მერე ამბობენ, შეთანხმება რომ არ შედგა, ორივე მხარეა პასუხისმგებელიო. ოპოზიციის პასუხისმგებლობა რაშია?! დავეთანხმოთ იმას, რომ გაგრძელდეს პოლიტიკური დევნა?

უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან. ერთია დიპლომატიური განცხადება, რომელიც თავის თავში გულისხმობს ხოლმე პასუხისმგებლობის განაწილებას და რეალური პრობლემა და რეალური პასუხისმგებლობა ვისზეა?

***– ანუ ევროკავშირი სწორად ვერ სვამს აქცენტებს?***

– აქცენტი სწორად არის გაკეთებული, დიპლომატიურად სწორია და გასაგებია, რომ ორივე მხარეზეა მოწოდება გაკეთებული, იმიტომ, რომ ამ მოწოდებებში ორივე მხარე მონაწილეობდა, მაგრამ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ვისაც ენიჭება, ეგ არის გამოყოფილი ძალიან ნათლად და, მგონი, ნათელია, სადაც არის აქცენტი გაკეთებული.

***– ამ ყველაფრის ფონზე, რეალურია საფრთხე, რომ ქვეყანამ დაკარგოს ევროკავშირის მხარდაჭერა? და ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ფინანსურს ვგულისხმობ.***

– კი, რეალურია ნამდვილად.

***– რა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს თავიდან ავიცილოთ?***

– ხელისუფლება უნდა დაჯდეს მაგიდასთან და შეთანხმებას მოაწეროს ხელი. ამით ეს კრიზისი ამოიწურება და წინ წავალთ, მაგრამ, თუ ჰგონიათ, რომ გამწვავებული კრიზისი მათთვის კარგია და, როგორც ჩანს, ასე ჰგონიათ, რომ გაღვივებული კრიზისის ფონზე მღვრიე წყალში კარგად ათევზავებს და რაღაცას გამორჩებიან. ოღონდ მათ ძალაუფლებას რაიმე ჩრდილი არ მიადგეს და მზად არიან, გარისკონ, მათ შორის ევროკავშირთან ურთიერთობის თვალსაზრისით და ევროკავშირის ფინანსური დახმარების მხრივაც. თუ ეს ჰგონიათ, მათ მძიმე შედეგებამდე მიიყვანთ.

***– როდესაც ჩამოთვალეთ რაღაც საკითხები, რომ ეს არ არის ოპოზიციის ბრალი და მზად ხართ, ნებისმიერ ადამიანს ედებატოთ ამ საკითხებზე. ეს იმგვარადაც ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ ოპოზიციამ მთლად კარგად ვერ იმუშავა დასავლელ პარტნიორებთან და ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები კარგად ვერ მიიტანა მასთან?***

– არა, მე ასე არ მგონია.

***– მზად ხართ, ისევ დასხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან, მაგრამ ხელისუფლება მუდმივად აპელირებს იმაზე, რომ კომპრომისი ორივე მხრიდან უნდა იყოს. რა არის ოპოზიციის ის მაქსიმალური კომპრომისი, რაზეც წამსვლელები ხართ?***

– ოპოზიცია მზად არის, დაჯდეს და მოილაპარაკოს ხუთივე ამ საკითხზე. არა რომელიმე საკითხის ამოღებაზე, არამედ თითოეულ ამ საკითხზე, ვადებზე და გზებზე, თუ როგორ შეიძლება გადაიჭრას. გვაქვს პოლიტიკური დევნის დასრულების ამოცანა, მაგრამ, ამაზე უარი რომ ვთქვათ, ეს არ არის კომპრომისი. კომპრომისია, ვილაპარაკოთ ვადებზე ან ინსტრუმენტებზე, როგორ უნდა გათავისუფლდნენ. ამაში ბოლომდე ვიქნებით კონსტრუქციულები, როგორც აქამდე ვიყავით, ისევე, როგორც არჩევნების საკითხზე. რა გზებით მივდივართ ახალ არჩევნებამდე და რა ინსტრუმენტებს გამოვიყენებთ, ამაზე მზად ვართ კომპრომისისთვის, მაგრამ მოლოდინი ნურავის ექნება, რომ ჩვენი კონსტრუქციულობა გულისხმობს იმას, რომ რომელიმე საკითხის განხილვაზე ვიტყვით უარს.

***– რა არის ის გზა, რითაც შეიძლება, მივიდეთ ვადამდელ არჩევნებამდე?***

– მაგალითად, შეიძლება ვკითხოთ ხალხს და მათი გადაწყვეტილების შესაბამისად გადავწყვიტოთ, იყოს თუ არა არჩევნები.

***– სხვათა შორის, ეს ევროპარლამენტარებმაც თქვეს ინტერვიუებში, რომ ხალხის აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული და რატომ არ წამოვიდა ხელისუფლება ამაზე, რა აზრს აფიქსირებდნენ იმ მოლაპარაკებებზე?***

– იმიტომ, რომ ნდობა აქვს შემცირებული და ჰგონია, რომ ნებისმიერი დათმობა, რომელსაც ხალხი დააფიქსირებს, იქნება მათთვის წამგებიანი და დააკარგვინებს ივანიშვილს ხელისუფლებას, სულ ეს არის.

***– არ აპირებთ აქციების გადმოწევას ამ ყველაფრის ფონზე?***

– არა, როგორც დაგეგმილი გვაქვს, ისე ვაპირებთ.

***– რა მოლოდინი გაქვთ, საბოლოოდ იქნება თუ არა მიღწეული შეთანხმება?***

– არ მაქვს არანაირი მოლოდინები და ზოგადად მოლოდინები პოლიტიკურ პროცესში ძალიან ცუდი მოკავშირე და სტრატეგიაა. ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმა, როგორ უნდა მივაღწიოთ იმ მიზანს, რაც დავისახეთ და ვცდილობთ, რომ ამ გეგმის შესრულებით ვიაროთ.

# „გახარიას ბედი ადგილობრივ არჩევნებზე გადაწყდება“

## მამუკა გამყრელიძე: „ხელისუფლებასთან ერთად, ხალხს იმედი ოპოზიციამაც გაუცრუა. შეეძლოთ, რაღაც მაინც დაეთმოთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, მოსახლეობა ძველ რეგულაციებს აპროტესტებს და ამ დროს ჯანდაცვა და ხელისუფლების წარმომადგენლები ახალ რეგულაციებზე ალაპარაკდნენ. რამდენად გველის მძიმე მესამე ტალღა და რამდენად დააზარალებს ეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს?***

– ფაქტი ერთია, რომ ხალხი ძალიან მოეშვა, აღარ იცავენ რეგულაციებს. შაბათ-კვირას ერთ-ერთ კურორტზე ვიმყოფებოდი და, მომსახურე პერსონალის გარდა, პირბადე არ ეკეთა არავის არც ღია სივრცეში და არც დახურულში. ხალხი რეგულაციებს აღარ ემორჩილება, ძალიან მოეშვა. ძალიან ვერაგი დაავადებაა და არ გამოვრიცხავ, რომ ისევ აიწიოს მაჩვენებელმა. მეორე საკითხიც არის, პოლიტიკოსებს როგორც აწყობთ და სჭირდებათ, ისე ათამაშებენ ციფრებს. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ეს გამოიყენონ პოლიტიკური თვალსაზრისით. ძალიან რთული იქნება ამის დამალვა, საავადმყოფოებში ხომ ჩანს, ხალხი არის, არ არის. გამოჩნდება ეს ყველაფერი. იმედი მაქვს, რომ მესამე ტალღა არ იქნება, თბილისში მაინც, რადგან აქ თითქმის ყველა იცავს რეგულაციებს.

***– ვაქცინაციაც არ მიმდინარეობს ისეთი ტემპით, როგორითაც საჭიროაო.***

– კი, ასეა. ეშინია ხალხს. სიმართლე გითხრათ, მეც მეშინია. ასტრაზენეკათი კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა, გაიკეთა აცრა და აცრიდან ერთ კვირაში დაემართა თრომბოემბოლია. დამთხვევაა? შეიძლება, დამთხვევაა, მაგრამ, სადაც აიკრძალა ამ ვაქცინის გამოყენება, ყველგან ერთნაირი შემთხვევები იყო. ერთი კვირის განმავლობაში ემართებათ თრომბოემბოლია. როგორც მე ვიკავებ თავს, ისე – სხვა. ჩინური ვაქცინაც შემოდის. ამბობენ, რომ კარგი ვაქცინაა, გართულებები არ აქვს, მაგრამ არ არის ისეთი ეფექტური, როგორიც ფაიზერი, მოდერნა ან ჯონსონი. ასევე რუსული ვაქცინაც ძალიან ეფექტურია. რა და როგორ იქნება, რთული სათქმელია.

***– პოლიტიკურ პროცესებზე რას იტყვით? რამდენად არის ჩიხი და კრიზისი? მოლაპარაკებები კვლავაც უშედეგოდ დასრულდა. რას ელოდებით?***

– სიტუაცია ნამდვილად ჩიხურია ორივე მხრიდან. ჩიხშია შესული ევროკავშირიც და ქართული მხარეც. ამერიკაში კი ჯერ არ დაინტერესებულან ამით. ამერიკა შემოდგომამდე ვერ მოიცლის ჩვენთვის. ევროკავშირი კი უკვე დაგვემუქრა, სანქციები თუ არ იქნება, დახმარებებს მაინც შეგიწყვეტთო. ასეთი სიტუაცია გვაქვს, რა უნდა გააკეთო? მაშინ უნდა მიმართო ქუჩის აქციებს. ქუჩის აქციები, ჩემი აზრით, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ხალხი ისეა გადაღლილი, რომ არაფერი აღარ აინტერესებს. ყველა დაიღალა იმ პროცესით, რომელიც, საბოლოო ჯამში, შევიდა ჩიხში. პოლიტიკურმა სპექტრმა ვერ შეძლო ერთმანეთში მოლაპარაკება. ეს კი ნიჰილიზმს იწვევს საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, კარგ და განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ველოდები.

***– რას იტყვით ხელისუფლებაზე?***



– ხელისუფლება, როგორც ჩანს, კომფორტულად გრძნობს თავს ამ სიმარტოვეში, მაგრამ, რამდენ ხანს გაძლებენ, მაგასაც ვნახავ. დაიწყება ძალიან სერიოზული ეკონომიკური კრიზისი. მოვიდა იმის დრო, რომ ნახევარი მილიარდი გადავიხადოთ ძველი ვალიდან. ახალი ვალები კი სამჯერ გაიზარდა წინა 9 წელთან შედარებით. საიდან აპირებენ ამის გადახდას?! ბიუჯეტის შევსება თუ არ მოხდება ევროკავშირის დახმარებიდან, სხვანაირად გამორიცხულია, ჩვენ შევავსოთ ბიუჯეტი. ტურიზმი აღარ არსებობს. კი ბატონო, შიდა ტურიზმი, გეთანხმებით, რომ არის, მაგრამ გარე ტურიზმი მოკვდა. ერთი რუსები შემოდიოდნენ და ისინიც გავყარეთ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მე ძალიან სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს ველოდები. პრობლემებს გადაჭრა უნდა, გადამჭრელი კი არავინ არის. მაჭავარიანმა დაინახა ეს სიტუაცია და გაასწრო.

***– თვითონ წავიდა თუ გაუშვეს?***

– ზოგი ამბობს, რომ გაუშვეს, თუმცა, მე მგონია, ძალიან ბედნიერია იმით, რომ წავიდა.

***– თურნავა და მაჭავარიანი გახარიას გუნდის წევრებად მოიაზრებიან. ასეა?***

– ალბათ, ასეა. გახარიას გუნდში მე ველოდები ბიზნესმენებს, იმიტომ რომ გახარია ბიზნესომბუდსმენობის პერიოდში ბიზნესისთვის ძალიან სასარგებლო იყო. ბიზნესმენები მისი მადლიერები არიან.

***– ანუ გუნდს აქედან შემოიკრებს?***

– ჩემი აზრით, კი.

***– მაშინ ფინანსებიც საკმარისი ექნება.***

– კი, კი, სწორედ ამის თქმა მინდოდა. მას არ ექნება ფინანსების გაჭირვება, თუმცა სიტუაციის პოლიტიკურად დალაგების პრობლემა ექნება. „ლელოსაც“, ჩემი აზრით, ეს შეცდომა მოუვიდა, აქტიურად შემოვარდნენ, თუმცა მერე მოლოდინი არ გაუმართლდათ, სხვა შედეგს ელოდნენ, თუმცა ვნახეთ, რა დაბალი პროცენტიც აიღეს. რაღაც პოლიტიკური მომენტი გაუშვეს ხელიდან. იგივე შეიძლება დაემართოს გახარიასაც. თუ გამჭრიახობას გამოიჩენს, შესაძლოა, ესეც შეძლოს.

***– როდიდან ელოდებით მის გააქტიურებას?***

– მაისიდან მაქსიმალურ აქტიურობას დაიწყებს, ადგილობრივ არჩევნებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას. რაც მთავარია, პარლამენტში განვითარებულ პროცესებს უნდა დავაკვირდეთ, როგორ კანონმდებლობას მივიღებთ, რა სისტემა იქნება. ადგილობრივ არჩევნებამდე ეს პროცესი უნდა გამოიკვეთოს.

***– ფიქრობთ, რომ ოპოზიციამ საერთოდ უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიციიდან ძალიან ბევრს უნდა შესვლა, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის გამო, ასევე ბოკერიას გამო ვერ ბედავენ ამას. მათ ოპოზიციაში მყარი პოზიციები აქვთ. ვერც ნინო ბურჯანაძე მოხვდა პარლამენტში. მასაც რადიკალური პოზიცია აქვს. ბურჯანაძესაც საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ოპოზიციაში. ამათ უყურებენ და ახლები, ვისაც შეუძლია, რომ შევიდნენ, ვერ შედიან, არ უნდათ, რომ ცუდი იმიჯი ჰქონდეთ და ალეკო ელისაშვილივით ბულინგის მსხვერპლი გახდნენ. მე არ ვმალავ და ვამბობ ამას, კარგი იქნებოდა, რომ შესულიყვნენ, ნაწილი მაინც.

***– გახარიაზე ვსაუბრობდით და „ოცნების“ აქტიური მხარდამჭერები მას ისე ლანძღავენ, ბევრს უკვე ეჭვი ეპარება იმაში, რომ ის ბიძინას პროექტი იყოს. რას იტყვით თქვენ?***

– მე არა მგონია, რომ გახარია ბიძინას პროექტი იყოს. ამ საკითხს უნდა მივუდგეთ ასე, რომ ჩვენთან ყოველთვის შემოჰყავთ ისეთი ფიგურა, რომელიც აკმაყოფილებს ყველას გემოვნებას, ეს იქნება დასავლეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი თუ ჩრდილოეთი.

***– გახარია ასეთია?***

– გახარია უდავოდ კომპრომისული ფიგურაა. ჯერ ერთი, მას აქვს ბიზნესთან მუშაობის, ასევე უცხოურ ბიზნესში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება. მას აქვს ძალიან კარგი ურთიერთობები, შეუძლია უკან დახევა, როცა ეს საჭიროა. მას შეუძლია, ბოდიშიც მოიხადოს და ძალიან მყარი პოზიცია დაიჭიროს, ანუ ტიპი არის ძალიან მოქნილი. აქედან გამომდინარე, მას ძალიან სერიოზული შესაძლებლობები ექნება იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოს.

***– არსებული ოპოზიცია აღარ მოსწონს მოსახლეობას?***

– ხელისუფლებასთან ერთად, ოპოზიციამაც იმედი გაუცრუა ხალხს. შეეძლოთ, რაღაც მაინც დაეთმოთ. ნუ იქნებოდა მაინცდამაინც ვადამდელი, საარჩევნო სისტემა შეცვლილიყო, ისევ ქვეყანას არგებდა. შესაძლოა, ვცდები, თუმცა ჩემი შეხედულებები ცენტრისტულია. ამდენი რეფორმაა გასატარებელი და გამოდის, რომ ამ რეფორმებს ვტოვებთ ხელისუფლების იმედად. გაატარებენ კი ამ რეფორმებს?!

***– ზოგს კითხვაც უჩნდება, მიზანმიმართულად ხომ არ ასხამს ოპოზიცია „ოცნების“ წისქვილზე წყალს.***

– არა მგონია. მიზანმიმართულად კი არ ასხამენ, მაგრამ ასე გამოსდით. ძალიან უაზრო პრინციპულობაა. პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ იქ, სადაც საჭიროა.

***– კახი კალაძის გაუჩინარებასთან დაკავშირებით ბევრი ხმა დადის. ხომ არ ჩაეხსნა მისი ვაგონი „ოცნებას“?***

– მისი გაუჩინარება მართლა დაემთხვა ამ პროცესებს. ამ ადამიანს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. მისი გარემოცვიდან უკვე ბევრი დაიჭირეს. მე ვფიქრობ, რომ კალაძეს მაქსიმალურად შეუზღუდეს არეალი. აი, გახარიაში კი დიდ პოტენციალს ვხედავ. მას ბიზნესის მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა ექნება. ეს კი საარჩევნოდ ბევრს ნიშნავს. არ არის გამორიცხული, რომ მან სერიოზული მესამე ცენტრი შექმნას. ადგილობრივი არჩევნები უმნიშვნელოვანესი მომენტი იქნება ჩვენს ცხოვრებაში, ბევრი რამე გამოჩნდება და გაირკვევა. სწორედ იქ გამოჩნდება, მართლა უნდა თუ არა ხალხს ცვლილება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „20 ივნისის შემდეგ თბილისი გახარიას არ მიიღებს“

## ლევან ალაფიშვილი: „ოპოზიციონერ დეპუტატებს ვთავაზობ, პარლამენტს განცხადებით მიმართონ, რომ ისინი დეპუტატობასთან შეუთავსებელ საქმიანობას ეწევიან“



ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ოპოზიცია მზად არის, პარლამენტს მანდატების გაუქმების მოთხოვნით კიდევ ერთხელ მიმართოს. ამჯერად როგორი შეიძლება იყოს პასუხი?***

– თუკი პარლამენტის უმრავლესობა უარს იტყვის მანდატების შეწყვეტაზე, მაშინ სახიფათო პრეცედენტს შექმნის. ეს აუცილებლად გამოიწვევს უახლოეს მომავალშივე მინიმუმ ორი კონსტიტუციური საფუძვლის შექმნას. ერთი, თუკი პარლამენტის წევრი პარლამენტის წევრისთვის შეუთავსებელ საქმიანობას ეწევა; მეორე, თუკი დეპუტატი არ ესწრება სხდომებს და მუდმივად აცდენს სესიასა თუ საკომიტეტო მოსმენებს. რა, გამოდის, ამ შემთხვევაშიც არ უნდა შეუწყდეს დეპუტატს უფლებამოსილება?! ბუნებრივია, ეს პრეცედენტი არის სახიფათო არა მხოლოდ კონსტიტუციური თვალსაზრისით, არამედ, სრულიად პრაგმატული რეალობიდან გამომდინარე. „ქართული ოცნების“ წევრსაც, თუ სესიას აცდენს, თუ დეპუტატისთვის კანონით შეუთავსებელ საქმიანობას ეწევა, არ შეუწყვეტენ უფლებამოსილებას?! ოპოზიციონერ დეპუტატებს ვთავაზობ, პარლამენტს განცხადებით მიმართონ, რომ ისინი დეპუტატობასთან შეუთავსებელ საქმიანობას ეწევიან.

ბოიკოტის რეჟიმს, როგორც ასეთს, კონსტიტუცია არ ცნობს. მეორე, არაერთი საერთაშორისო აქტით არის იძულებითი შრომა აკრძალული. ამ შემთხვევაში ეს გამოდის იძულებითი დეპუტატობა.

***– უფლებამოსილების შეწყვეტა არ გამოიწვევს იმთავითვე ვადამდელ არჩევნებს?***

– პარლამენტის რიცხოვნობის შემცირება ავტომატურად არ იწვევს რიგგარეშე არჩევნებს, თუკი არ ჩამოსცდება 76 დეპუტატს. თუკი ჩამოსცდება, მაშინ პარლამენტი თავის ფუნქციას ველარ შეასრულებს და კონსტიტუციური კრიზისის აღმოფხვრის ერთადერთი გზა სწორედ ვადამდელი არჩევნებია.

***– უკვე საუბარია რიგგარეშე არჩევნებზე, თუმცა ეს არ იქნება ოპოზიციის მოთხოვნის დაკმაყოფილება, არამედ ეს პირდაპირ გახარიას პარტიასთან იქნება დაკავშირებული. რამდენად უშვებთ სცენარის ასეთ განვითარებას?***

– არაფერია გამორიცხული. ვადამდელი არჩევნები რომ გარდაუვალია, ეს ცხადზე ცხადია იმ გამოწვევების ფონზე, რომელშიც ქვეყანას უწევს ცხოვრება. უმძიმესი რეალობის წინაშე ვდგავართ, რომელიც მაქსიმალურ კონსოლიდაციას მოითხოვს. არც ერთ პოლიტიკურ მხარეს არ აქვს საკმარისი ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა, რომ არსებულ გამოწვევებს გაუმკლავდეს. ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, რეგიონული პოლიტიკის გამოწვევებს ვერც მხოლოდ ოპოზიცია გაუმკლავდება. ამ გამოწვევებს დაემატა ბოლო ორი კვირის განმავლობაში განვითარებული პროცესები, რომლის მიხედვითაც ევროკავშირიდან თუ ამერიკიდან ქვეყანას შეიძლება ფინანსური სანქციები დაედოს. ამიტომ ვამბობ, რომ პოლიტიკური თამაშის ნაწილი უნდა გახდეს ფართო კონსოლიდაცია.

***– როგორ ფიქრობთ, პოლიტიკური თამაშების ნაწილია გახარიას დაბრუნება?***

– დიახ, ჭადრაკის დაფაზე ჭადრაკს თამაშობენ, თუმცა, გულწრფელად რომ გითხრათ, მე მაინც არ ველოდები სიახლეს. სიახლე ნამდვილად სჭირდება ქართულ პოლიტიკას, მაგრამ არა არსებული თუ ყოფილი პოლიტიკოსების ხელახალი დაბრუნებით. პრემიერობიდან გაშვება და ხელახლა პრემიერად დაბრუნება, არა მგონია, იყოს გამოსავალი. საჭიროა სიახლე, რომელიც არ იქნება მმართველ პოლიტიკურ ელიტასთან დაკავშირებული, თუმცა ასეთი სიახლეც უცებ ვერ იქნება.

გახარიას პოლიტიკაში დარჩენა, როგორც მან გვითხრა, თუ დაბრუნება, თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან ბევრ რამეზე იქონიებს გავლენას. სრულიად მარტივ მაგალითს გეტყვით: ის იყო პრემიერი და ძალიან ბევრ ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი, ივნისის ამბებიდან დაწყებული, სხვა უამრავი ინფორმაციით დასრულებული, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის, თუმცა, როგორ გამოიყენებს, ვისთვის შეიძლება, ეს იყოს საფრთხე ან არ იყოს, ჯერ არავინ იცის. ამ ყველაფერს მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს.

გარდა ამისა, გახარიამ ყველაზე კარგი დრო შეარჩია იმ მასშტაბური პრობლემებისგან გაქცევისთვის, რომლითაც ცხოვრობს დღეს ქვეყანა. დაგეგმილი ბიუჯეტი, კომენდანტის საათი, ის მიდგომები, რომლებიც დამკვიდრდა თუნდაც 20 ივნისის შემდეგ, რომლებიც მასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს ყველაფერი რეალურად „ქართულ ოცნებას“ ჩამოჰკიდა. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ოქტომბრამდე მან შეძლოს მნიშვნელოვანი ელექტორალური შედეგის დადება, მაგრამ რამდენიმე მსხვილ ქალაქში ის შეძლებს გარკვეული შედეგების დადებას.

უნდა თუ არ უნდა ვინმეს, 20 ივნისის შემდეგ თბილისი გახარიას ნაკლებად მიიღებს, ცხადია, ელექტორალურ მხარდაჭერას ვგულისხმობ. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, გახარიას ძალები ადგილობრივ დონეზე, სამეგრელოში მოესინჯა. თუნდაც ამით გახარია შეძლებს პერსონალური რეიტინგის გაზომვას.

ასევე, არ გამოვრიცხავ, ვადამდელი საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები შემოდგომაზე ერთად ჩატარდეს. კალენდარულადაც ემთხვევა ოპოზიციის გასვლა რეგიონებში და „ოცნების“ დაანონსება, რომ ისინი საარჩევნო კამპანიისთვის მზადებას იწყებენ. ეს თითქოს წამოცდენასავით იყო. თუკი გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, არ გამოვრიცხავ, ორივე არჩევნები ერთდროულად ჩატარდეს.

# „ჩვენი ეკონომიკა ნორმალურ მდგომარეობას 2022 წლის ბოლოს დაუბრუნდება“

## გიორგი კეპულაძე: „საბაზო პროგნოზით, ლარის კურსი – 3.4-ის, ხოლო პესიმისტურით, 3.7-ის ფარგლებში იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი

**ლარის კურსი ყოველდღე უფასურდება, ინფლაცია სულ უფრო და უფრო თვალშისაცემია, ეკონომიკა სრული მასშტაბით ისევ არ ამუშავებულა, ტურიზმის მომავალი ისევ გაურკვეველია, ინვესტიციებში კი უძრაობის ხანაა და ამ ფონზე ევროკავშირიდან გაისმა მუქარა, რომ თუ პოლიტიკური კრიზისი არ მოგვარდება, ფინანსურ დახმარებას ისინიც შეგვიწყვეტენ. რა ბედი ელის ეკონომიკას და, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რჩება თუ არა რაიმე პერსპექტივა? რა ელის ლარს და რაზეა დამოკიდებული ეკონომიკის გადარჩენა-არგადარჩენა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძე საუბრობს.**

***– ვხედავთ, რომ ლარი გაქცეულია, ინფლაცია ყოველთვიურად სახეზეა, ვხედავთ, რა ფასზეა ასული იგივე ზეთი. ამ ყველაფრის ფონზე, რა პერსპექტივა ჩნდება ეკონომიკური თვალსაზრისით? რჩება თუ არა რაიმე პერსპექტივა, თანაც ნახევრად დახურული ეკონომიკის პირობებში?***

– ძალიან მძიმე სიტუაციაა ფაქტობრივად ყველა მიმართულებით და არ გვაქვს გაუმჯობესება. შარშან ამ დროს ალბათ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ერთი წლის მერეც დაახლოებით იმავე რეჟიმში ვიქნებოდით. ძალიან დაგვიანდა ეკონომიკის გახსნა, პირველ რიგში – ტურისტული თვალსაზრისით. ტურიზმი ძალიან მნიშვნელოვანი დარგია ჩვენი ეკონომიკისათვის. ტურიზმს ეკავა ჩვენი ეკონომიკის 12% და 4%-მდე შემცირდა 2020 წელს. სამწუხაროდ, დაგვიანდა ვაქცინაციის პროცესი, ვაქცინების შემოტანა, კარგი კამპანიის დაწყება, რომ მოსახლეობას ჰქონოდა სანდოობა ვაქცინების მიმართ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის გახსნას, ქვეყნის გახსნას და, რაც უფრო დიდხანს გაიწელება ეს პროცესი, მით უფრო დაგვიანდება ეკონომიკის აღდგენა.

აღარ ჩამოვთვლი მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, ისედაც ყველამ კარგად იცის, რომ ინვესტიციები განახევრებულია, გვაქვს ეკონომიკური ვარდნა, პირველ კვარტალში, სავარაუდოდ, ისევ ეკონომიკური შემცირება გვექნება და არა ზრდა. თუ რამე ზრდა იქნება შემდეგ თვეებში, ესეც 2020 წელთან შედარებით. მსოფლიო ბანკის მაჩვენებლითაც ჩვენი ეკონომიკა 2019 წლის მაჩვენებელს 2022 წლის ბოლოს დაუბრუნდება. სამწუხაროდ, ეს პროგნოზიც ოპტიმისტურია.

ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა გარკვეული პროგნოზები, როგორც საბაზო სცენარი, ასევე – ალტერნატიული. შეიძლება ითქვას, რომ ალტერნატიული შედარებით პესიმისტურია. თუ საბაზო პროგნოზში ნათქვამია, რომ წელს ჩვენი ეკონომიკა 4%-ით გაიზრდება, ალტერნატიულში 1%-იან ზრდაზეა საუბარი. ეს დამოკიდებულია გარკვეულ დათქმებსა და პირობებზე. მაგალითად, თუ დროულად მოხდება მოსახლეობის აცრა, დროულად დავძლევთ პანდემიას და დროულად გავხსნით ეკონომიკას, თუმცა, სამწუხაროდ, რასაც ჩვენ ახლა ვუყურებთ, ამის პერსპექტივას დიდად ვერ ვხედავ. ალბათ იმიტომაც შემოგვთავაზა ეროვნულმა ბანკმა ალტერნატიული სცენარი, რომ ალბათობაა იმის, ყველაფერი კარგად წავიდეს. კარგია თუ არა 4%-იანი ეკონომიკური ზრდა 2020 წელთან შედარებით, ეს ცალკე სასაუბრო თემაა, მაგრამ უფრო უარესი სცენარებიც არსებობს. შესაბამისად, ამ სცენარებზე დაყრდნობით, სამწუხაროდ, ვიღებთ მდგომარეობას, როდესაც შესაძლებელია, წელს გვქონდეს კიდევ უფრო ნაკლები ეკონომიკური ზრდა, ვიდრე ეს მანამდე იყო პროგნოზირებული. დაგვიანდა ყველაფერი და გავიმეორებ, რომ ტურიზმი რჩება მნიშვნელოვან დარგად და მისი აღდგენის გარეშე 4%-იანი ზრდა ვერ გვექნება.



**„დაფინანსების შეწყვეტაზე ევროკავშირის განცხადება ყურადსაღებია, ფინანსურადაც დაგვარტყამს და ინვესტიციებსაც არავინ ჩადებს“**

***– ეკონომიკის ნაწილობრივმა გახსნამ ვერანაირი სარგებლობა ვერ მოიტანა?***

– მე ამას დავარქმევდი ნაკლებად გახსნას. როდესაც რესტორნებს ეუბნები, რომ 9 საათზე კომენდანტი იწყება და რეალურად ის 8 საათის მერე სტუმრებს ველარ მიიღებს და ასევე არ იმუშაოს შაბათ-კვირას, როდესაც ადამიანებს შეუძლიათ, ამ გაჭირვების ჟამს საკუთარ თავს უფლება მისცენ და გაიდინენ... ეს არ არის ის ვითარება და ის გახსნა, რაც ეკონომიკის აღდგენისთვის არის საჭირო.

მესმის, რომ გარკვეული დარგები ამუშავდა. ნაკლებად არის კრიზისი წინა წელთან შედარებით, თუმცა ეს საკმარისი არ არის. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ ადგილობრივი ავტორიტეტული კვლევის თანახმად, ეკონომიკის აღდგენა ტურიზმის აღდგენის გარეშე არ გამოვა.

***– პირდაპირ არის მიბმული ამასთან ინფლაცია და ლარის კურსი?***

– პირდაპირ მიბმული არ არის, მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ეკონომიკაში ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია. თუ ქვეყანა არ იზრდება ეკონომიკურად და არ შემოდის საკმარისი რაოდენობის ვალუტა, მაშინ უფასურდება ლარი. ამას მოჰყვება იმპორტირებულ საქონელზე ფასების შემცირება, შემდეგ უკვე ზოგადი ინფლაციური წნეხისა და პლუს კომუნალური გადასახადების ზრდა, ანუ ყველა სფერო იძულებულია, გაზარდოს ფასები, რადგან პროდუქცია და მომსახურება ძვირდება. ეს, რა თქმა უნდა, საბოლოოდ მოქალაქეების ჯიბეებს ურტყამს.

ასევე პრობლემაა ბიუჯეტის შესრულება. როდესაც ბიუჯეტი იგეგმება, ის იგეგმება გარკვეულ ეკონომიკურ ზრდაზე. წლევანდელ ბიუჯეტში გვიწერია, რომ პროგნოზია 4.3%-იანი ზრდა. ბოლო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და პერსპექტივას თუ გადავხედავთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ წელს ამხელა ეკონომიკური ზრდა გვქონდეს. ეს იწვევს იმას, რომ ბიუჯეტში გადასახადები იკლებს, შესაბამისად, შემოსავლები იკლებს და ბიუჯეტს აღარ რჩება საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ ხარჯები დააფინანსოს. ამ რესურსის შევსება შესაძლებელია მხოლოდ იმით, საგარეო ვალს თუ ავიღებთ, რაც ისედაც უკვე კატასტროფულ ნიშნულზეა. 100 მილიარდამდე დოლარი ვისესხეთ შარშან და წელსაც ვაპირებთ გარკვეული თანხის სესხებას. ბიუჯეტი დაგეგმილია 7.5%-იან დეფიციტზე, რაც მძიმეა ჩვენი ეკონომიკისთვის. ამ დეფიციტზე კიდევ ვალის დამატება და დეფიციტის ზრდა ძალიან მტკივნეული იქნება ჩვენი ეკონომიკისათვის. ამან, შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს შემდეგ პერიოდში ფისკალური თვალსაზრისითაც. შესაძლოა, ჩვენი საკრედიტო რეიტინგი გაუარესდეს და ფული აღარც გვასესხონ ან მაღალი პროცენტით გვასესხონ. ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის, „საზოგადოება და ბანკების“ რეკომენდაციაა, მთავრობამ დაიწყოს ფიქრი იმაზე, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შემცირდეს. მესმის, რომ კაპიტალური დანახარჯები სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის, თუმცა დღეს არ გვაქვს ის რეალობა, როდესაც შევძლებთ ეკონომიკაში დამატებითი ფულის ჩასხმას. თუ ეს მოხდება, მოხდება საგარეო ვალისა და, შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტის ხარჯზე, ანუ ცუდსა და უარესს შორის არჩევანის წინაშე ვდგავართ.

***– იმ შემთხვევაში რა გველოდება, თუ ევროკავშირი შეასრულებს იმ მუქარას, რომელიც გააჟღერეს, რომ ფინანსურ დახმარებას შეგვიწყვეტს, თუ პოლიტიკური მხარეები კომპრომისზე არ წავლენ?***

– ვითომ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი არ გვეყოფოდა, ზემოდან გვემატება პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ვერ მოგვარდა და, ევროკავშირის ორი თუ სამი მცდელობის მიუხედავად, მხარეები ვერ შეთანხმდნენ. ტყუილად გვეგონა, რომ ეს მარტივად ჩაივლიდა. ამას მოჰყვება შესაბამისი შედეგები. ევროკავშირი ნამდვილად ვერ მოითმენს იმას, რომ საქართველოში პოლიტიკური მხარეები არ შეთანხმდნენ. მით უმეტეს, როდესაც ევროკავშირი საკმაოდ მაღალ დონეზეა ჩართული. ის, რომ ევროპარლამენტარებმა გააკეთეს განცხადება, არის ძალიან საგულისხმო. აქ საუბარია ოპოზიციის პასუხისმგებლობაზე, მაგრამ განსაკუთრებით საუბარია ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე, რაც ბუნებრივია. როდესაც ქვეყანაში ხდება რაღაც, კარგი ან ცუდი, მასზე პასუხისმგებელია ხელისუფლება. რა თქმა უნდა, მე ყველა მხარეს მოვუწოდებ კომპრომისისკენ, მაგრამ მთავარი წილი ხელისუფლებაზეა, რადგან, თუ ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, ეს, პირველ რიგში, მმართველ პარტიას დაარტყამს. ამიტომ ევროპარლამენტარების ეს განცხადება ძალიან ყურადსაღებია და ამას ხაზი გაუსვა ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმაც, რომ ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ასეთ განცხადებებს. ევროკავშირი და ამერიკა არ არის რუსეთი, რომელიც აგრესიულად მოქმედებს. არა, ისინი ჯერ იწყებენ განცხადებებს, პოლიტიკურად ცდილობენ მხარეებისთვის გზავნილების გაგზავნას, როგორ ხედავენ სიტუაციიდან გამოსავალს და, თუ არ ხდება ამის გათვალისწინება, ამას შემდეგ, შესაძლოა, სანქციები მოჰყვეს.

ისედაც, ამას რომ თავი დავანებოთ, ეს განცხადებები ერთგვარი სიგნალია ინვესტორებისთვის. წარმოიდგინეთ, ვის გაუჩნდება სურვილი, ჩადოს ფული იმ ქვეყანაში, რომელზეც ევროკავშირი საუბრობს და, შესაძლოა, საგრანტო დახმარებები შეუწყვიტოს. მხოლოდ 2021 წელს 287 მილიონ ლარამდეა დაგეგმილი საგრანტო გადმორიცხვების სახით ევროკავშირიდან. ამის ნაწილიც რომ გაჩერდეს, ფინანსურად ხომ დაგვარტყამს და ეს ძალიან ცუდი სიგნალი იქნება ქვეყნისას და ინვესტორებისთვის.

პოლიტიკური კრიზისის მოგვარება ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ დროულად დავიწყოთ ეკონომიკასა და რეალურ გამოწვევებზე ზრუნვა, რაც ყველა გამოკითხვაში არის მთავარი საკითხები. ეს არის უმუშევრობა, სიღარიბე, ფასების ზრდა, ეკონომიკური პრობლემები... ამ საკითხებზე თუნდაც ხელისუფლება რომ იყოს მეტად კონცენტრირებული, მას პოლიტიკური კრიზისი, მინიმუმ, გადაგორებული უნდა ჰქონდეს. მე არაფერს დავთმობ და შემოდი პარლამენტში, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოგვარდება. პარლამენტში რომც შევიდნენ, ამით არ მოგვარდება პოლიტიკური კრიზისი და საჭიროა გარკვეული დათმობები. ამ დათმობაზე, პირველ რიგში, ხე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# ანზორ აბრალავა: „ოპოზიციამ „15 მაისის შტაბი“ კი არა, ახალი შულავერის კომიტეტი შექმნა“

## „საქართველოში, ისევე, როგორც სხვაგან, რუსეთი იწყებს სამხედრო-პოლიტიკურ მოძრაობას“

მარიამ მჭედლიშვილი

**ევროკავშირის მედიაციის მეორე ეტაპის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ ევროდეპუტატების ჯგუფმა გამოაგზავნა წერილი, სადაც გაკრიტიკებულია საქართველოს პოლიტიკური სპექტრი და ნათქვამია, რომ არ არის გამორიცხული ევროკავშირის ფონდებიდან საქართველოსთვის დახმარების შეჩერება. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.**



**ანზორ აბრალავა:**

– ევროპარლამენტის წევრთა ჯგუფის წერილი მძიმედ აღიქვა საქართველოს მოსახლეობამ. ესეც და ზოგადად ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, ერთიან ჭრილშია განსახილველი. ჩვენ საქმე გვაქვს რუსეთთან, რომელიც გააქტიურებულია პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დიდ ნაწილზე. საქართველოში, ისევე, როგორც სხვაგან, რუსეთი იწყებს სამხედრო-პოლიტიკურ მოძრაობას. ვნახეთ, რა მოხდა მთიან ყარაბაღში. ახლა რუსეთის სამხედრო ძალების მობილიზება ხდება აღმოსავლეთ უკრაინასთან. მოსკოვი საქართველოსაც უტევს, ოღონდ, სხვა მეთოდებით.

***– როგორ?***

– დღევანდელი სიტუაცია მძიმეა და მაგონებს პირველი მსოფლიო ომის დასასრულის მერე განვითარებულ პროცესებს. მაშინ ანტანტამ საქართველო რუსეთს გადააბარა. ინგლისელი სამხედროები საქართველოში დროებით იყვნენ. შემდეგ ყველა ევროპელი წავიდა და 1921 წელს რუსეთმა მოახდინა ოკუპაცია.

***– ვითარებას ხომ არ ამძაფრებთ? ახლაც ის სიტუაციაა, რომ დასავლეთი საქართველოს რუსეთს უთმობს?***

– ჩვენი ხალხი დასავლეთისაგან ქმედით დახმარებას მოელის, ის არ ჩანს. ჯერ ერთი, აქამდე რატომ არ მიგვიღეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში?! მეორეც, რით გამოიხატა ევროკავშირის მედიაცია? იმით, რომ ოპოზიციას უნდა დაუთმონ ყველაფერი?! ერთი მხრივ, აღიარებენ არჩევნების შედეგს, მეორე მხრივ, გვთავაზობენ მის გადახედვას.

***– ეს დაასკვენით დანიელსონის საბოლოო დოკუმენტიდან?***

– რასაკვირველია. მარტო პარლამენტის კომიტეტები კი არა, ოპოზიციას უნდა ჩააბარონ პროკურატურა, სახალხო დამცველის აპარატი და სხვა. ზოგი ინფორმაცია კულუარულადაც ვრცელდება. ვინ წარმოადგენს ოპოზიციას, ისიც ხომ საკითხავია?! ძირითადად, ესენი არიან რუსეთის წარმომადგენლები. ნაწილი, უბრალოდ, ბრიყვია და არ ესმის, სად გაყო თავი. ეს არის შულავერის კომიტეტი, რომელიც ამზადებს იმას, რომ რუსეთმა მთლიანად დაიპყროს საქართველო.

***– ამ დღეებში მსოფლიომ საქართველოში სხვა სახის აქტივობა ნახა – გამოსვლები რუსი ჟურნალისტის, პოზნერის წინააღმდეგ, რომელიც არ ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.***

– ეს გამოსვლები უფრო საბაბი იყო რაღაცისთვის. ამ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში არიან რუსეთზე ფარულად მომუშავე პირები. ნინო ბურჯანაძის განცხადებებიც არ მოსწონს ბევრს, მაგრამ ის მაინც არ ინილბება და ღიად ამბობს, მოსკოვთან დიალოგი გავმართოთო. ამ ოპოზიციაში ისეთი ხალხია, პოზნერზე ბევრად უარესს აკეთებს. ეს აგრესია, კვერცხების სროლა პრიმიტივიზმია.

***– პოზნერის ინციდენტის შემდეგ რუსეთმა გამოაცხადა, რომ საქართველო არ არის უსაფრთხო რუსი ტურისტებისათვის. მანამდე რუსულ მედიაში იყო ტალღა საქართველოზე – რეპორტაჟები, სტატიები, შთაბეჭდილებები. ყველგან გატარებული იყო აზრი, რომ რუსი ვიზიტორები ამდიდრებენ საქართველოს, რომელიც არ არის კეთილად განწყობილი რუსეთისადმი.***

– ეკონომიკაც პოლიტიკის ნაწილია. რუსეთისა და მისი ქართველი დამქაშების მიზანია, გაალვივონ ნიჰილიზმი მოსახლეობაში, გააკოტრონ, ჩაუკლან ხალხს სახელმწიფოებრიობის განცდა. მათი გათვლით, მოსახლეობას უნდა გაუჩნდეს სურვილი, ვინმე სხვა მოიწვიოს მენეჯერად, სხვას ჩააბაროს მენეჯმენტი. ამას ემსახურება საქართველოს ოპოზიცია, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებებს გეგმავს. ჩვენ საქმე გვაქვს არა ოპოზიციასთან, არამედ, რუსეთთან.

***– თქვენ ოპოზიციაზე ლაპარაკობთ და არსებობს აზრი, რომ ოპოზიციაც და მმართველი პარტიაც პრორუსულები (ფარულად) არიან.***

– სააკაშვილი და მისი დავალებების შემსრულებლები პირდაპირ ატარებენ რუსეთის ინტერესებს. სააკაშვილი პრორუსი კი არა, რუსეთის პირდაპირი წარმომადგენელია. არა მგონია, ვინმე კიდევ იყოს ისეთი მიამიტი, რომ სააკაშვილის ვითომ რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებები დაიჯეროს. ოპოზიციაში ზოგი გაბრიყვებულია. ძალიან იმოქმედა ხალხზე იმან, რომ მედიაცია უშედეგოდ დამთავრდა და ევროპარლამენტის წევრებმა წერილი გამოაგზავნეს. ამით ხომ ნიჰილიზმი იზრდება! ისე, დამოუკიდებელი ქვეყანა თუ ვართ, ჩვენ თვითონ უნდა მოვაგვაროთ საშინაო პრობლემები. ხელისუფლებაში უნდა იყოს ის, ვინც ხალხმა აირჩია. თუ არჩევნების შედეგს ვაღიარებთ, ასეა. მოლაპარაკებები შედგა და ამიტომ ოპოზიცია ხელისუფლება უნდა გახდესო, ასე არ შეიძლება.

***– ოპოზიციამ „15 მაისის შტაბი“ შექმნა. ამ დღეს თბილისში აქცია იგეგმება. მანამდე რეგიონებში ივლიან.***

– ოპოზიციამ 15 მაისის შტაბი კი არა, ახალი მუდმივმოქმედი შულავერის კომიტეტი კარგა ხანია შექმნა. ესენი წელიწადში 365 დღე ამზადებენ სახელმწიფო გადატრიალებას. ხალხი არ მიჰყვება, თორემ, ქვეყანას ბევრჯერ გადააყირავებდნენ და რუსეთს ჩააბარებდნენ. კიდევ ვამბობ – ჩვენ მოლაპარაკება გვაქვს არა ოპოზიციასთან, არამედ, რუსეთთან.

***– როგორ განვითარდება მოვლენები?***

– დასავლეთისგან რეალური დახმარება გვინდა. ნატომ ისევე სწრაფად უნდა იმოქმედოს, როგორც ამას აკეთებს რუსეთი უკრაინაში. ლაპარაკია სამხედრო-პოლიტიკურ მოქმედებებზე. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ვრჩებით პირისპირ რუსეთთან. მაშინ რუსეთის გამოგზავნილ პოლიტიკურ ქაჯებთან და მოღალატეებთან ლაპარაკს სჯობია, თვითონ კრემლს დაველაპარაკოთ. ბუდუ მდივანმა, რომელიც რუს ბოლშევიკებს საქართველოში მოუძღოდა, მოინანია. ამ ოპოზიციასაც მოუწევს სინანული. საზოგადოებამ ამ ყველაფერს ღრმად უნდა შეხედოს, სახელმწიფოებრივად გაიაზროს, თორემ, არ ვიქნებით ერი. ვიქნებით ხალხი, რომელმაც ცეკვის, სიმღერისა და სადღეგრძელოების გარდა არაფერი იცის.

# „საქართველო ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის ხიდი უნდა გახდეს“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალს ვერსად წაიღებს“



**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– როგორ შეხვდით საქართველოდან პოზნერის გაძევებას?***

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა განუყოფელია. ჩვენ პოზნერის ოდესღაც გაკეთებული განცხადებების კი არ უნდა გვეშინოდეს, მისი საქართველოში ჩამოსვლა სწორად უნდა შეფასებულიყო და გამოყენებულიყო, რათა მას შეეცვალა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

ქართულ-რუსული ურთიერთობების გადატვირთვა და ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რეალური გადატვირთვის დაწყება დასავლეთის ისეთი პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებში არ შედის, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს სჭირდება ზუსტად ისეთი სტატუსი, როგორიც დღეს აქვს. მათ ძალიან კარგად იციან, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები მოსკოვშია, კრემლში. სწორედ მოსკოვს შეუძლია, ქართულ-რუსული ურთიერთობების სწორად წარმართვით განისაზღვროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ბაზისი. საქართველოს განიხილავენ, როგორც ზესახელმწიფოთა შორის დაპირისპირების პოლიგონს.

***– რა შედეგს მოგვცემს რუსეთთან ურთიერთობების ე.წ. გადატვირთვა? ეს იმის დავიწყებას ხომ არ ნიშნავს, რომ რუსეთს ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული?***

– არამცდაარამც ტერიტორიების ოკუპაციის დავიწყებას არ ნიშნავს. ძალიან ბევრი გარემოება არსებობს იმის სამტკიცებლად, რუსეთს რომ სდომებოდა, ცხინვალისა და სოხუმის ინტეგრირებას რუსეთის ფედერაციაში ოკუპაციიდან ძალიან მალევე მოახდენდა.

***– შეფარულად ახდენს ინტეგრაციას. ე.წ. ხელშეკრულებებით.***

– აფხაზეთი არის სრულიად განუვითარებელი კვაზისახელმწიფოებრივი ვითომ წარმონაქმნი, რომელშიც არავითარი ნიშანწყალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისა, როგორც წინაპირობა, არ არსებობს. ცხინვალი ხომ საერთოდ განადგურებული მიწის ნაკვეთია, რომელზეც ბაზებია განთავსებული.

***– რუსეთი რამენაირ დათმობაზე წამოვა?***

– გადატვირთვის პოლიტიკა იმუშავებს იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ გვერდით იქნებიან რეგიონულ პოლიტიკაში ამინდის შემქმნელი პარტნიორები. „ექვსეულის“ პოლიტიკა თურქეთის მიერ ძალიან საინტერესოდ არის გახმოვანებული, მით უმეტეს, ამას პრეზიდენტი ზურაბიშვილიც გამოეხმაურა.

***– ეგ მთლიანად რუსულ პოლიტიკურ სივრცეში არ მოგვაქცევს? მით უფრო, რომ რუსეთთან ერთად თურქეთისა და ირანის ინტერესების უცილობელი გათვალისწინებაც მოგვიწევს.***

– ჩვენი პოლიტიკური ამოცანა უნდა იყოს არა რუსეთის ან ევრაზიული კავშირის კუთვნილება, არამედ საქართველო უნდა გახდეს მყარი ხიდის როლის შემსრულებელი ევრაზიულ კავშირსა და ევროკავშირს შორის. ჩვენ დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაზე ხელი კი არ უნდა ავიღოთ. ეს არ არის ჩვენი ამოცანა, არავითარ შემთხვევაში. თუ ბალანსი დაირღვა, საქართველო ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდება.

ჩვენი დასავლელი პარტნიორების საშუალებით, რუსეთთან პირდაპირი ურთიერთობების აღდგენის გზით, დასავლელ პარტნიორებთან რუსეთის ურთიერთობის კონტექსტში, საქართველომ უნდა შეასრულოს მყარი ხიდის ფუნქცია ევრაზიულ კავშირსა და ევროკავშირს შორის, ვინაიდან ვიმყოფებით ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. ეს გარანტიებით, რეგიონული შვეიცარიის სტატუსით უნდა განხორციელდეს.

***– არა მგონია, შვეიცარიზაცია დაგვანებოს რუსეთმა.***

– შვეიცარიზაცია გაეროს დონეზე განსახილველი თემაა. საქართველო გაეროცენტრული ქვეყანა უნდა გახდეს. საერთაშორისო სამართალი ძალისმიერი გადაწყვეტილებების განხორციელებისკენ იხრება. ყველა საერთაშორისო ინსტიტუტმა და პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და თქვას, რომ საქართველო არის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ცივილიზაციის აკვანი კაცობრიობისთვის, უნიკალურია თავისი ეთნიკური თუ ლინგვისტური შემადგენლობით და მოითხოვოს, მის გარშემო აღარ იყოს რაიმე ტიპის შავი ღრუბლების შეკრების შესაძლებლობა, საქართველოს სახით შეიქმნას მოდელი – საქართველო გახდეს ნეიტრალური, მაშინ შვეიცარიზაციის სტატუსის მიღება არ გაძნელდება.

რატომ უნდა იყოს გაეროს შტაბ– ბინა აშშ-ში? რატომ არ შეიძლება, გაეროს შტაბ-ბინა სწორედ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე იქნას გადმოტანილი?

***– ჯერ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციაა საჭირო.***

– ყველაფერი სწრაფად ვითარდება. ყირიმის ბედი ორ კვირაში გადაწყდა. დღეს უკრაინაში რთული ვითარებაა. თუ კეთილი ნება იქნება, საქართველო თავს დაიმკვიდრებს, თორემ ცივილიზაცია ჩაყლაპვით ემუქრება.

***– უკრაინის უსაფრთხოების დაცვაზე დიდი სახელმწიფოების შეთანხმება იყო, მათ შორის, რუსეთისაც, მაგრამ რუსეთმა პირობა დაარღვია.***

– შეთანხმება დასავლეთმა დაარღვია. თუ უკრაინა უარს იტყოდა ბირთვულ შეიარაღებაზე, დასავლეთი აუცილებლად აიღებდა პასუხისმგებლობას მის უსაფრთხოებაზე. შემდგომ, როდესაც რუსეთს, თავისი შიდა ინტერესიდან გამომდინარე, გაუჩნდა აუცილებლობა იმისა, უარი არ ეთქვა აღმოსავლეთ უკრაინაზე, რადგან იქ იმყოფებოდა ძირითადი სტრატეგიული ქარხნების დაახლოებით 60-65%, წარმოიშვა შემხვედრი აუცილებლობა, რუსეთს მხარი დაეჭირა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ამან წარმოშვა ის კონფლიქტი, რომელიც დღეს ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტამდე მიდის.

***– რუსეთის გამართლებას ხომ არ ცდილობთ? ქარხნების არსებობა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრას არ ამართლებს.***

– რუსეთის გამართლებას არ ვცდილობ. ხომ არ გავიწყდებათ, რომ რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს წევრია?

***– არ მავიწყდება.***

– რუსეთს გააჩნია მსოფლიოში ყველაზე დიდი ოდენობით ბირთვული ქობინები და გააჩნია პრეტენზია, ამბიცია და ამ ამბიციის აღსრულების ყველა მექანიზმი, იმპერიული ზრახვები სისრულეში მოიყვანოს. კი არ ვამბობ, რომ რუსეთი კარგია და თავზე ხელი გადავუსვათ. იმ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ, რომ საქართველო ამ ინტერესების უგულებელყოფის გზით საკუთარი ინტერესების გატარებას ვერ შეძლებს. ამისთვის საჭიროა, დიპლომატიამ განვითარების სწორი გეზი აირჩიოს, რათა დასავლელ პარტნიორებთან მჭიდრო კავშირურთიერთობაში, ძირითად რეგიონულ მოთამაშეებთან მჭიდრო კონსულტაციის რეჟიმში დავიწყოთ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა კონკრეტული დღის წესრიგით. დღის წესრიგი უნდა იყოს მყარი ხიდის ფუნქციის შესრულება.

***– სანამ აფხაზეთი და ცხინვალი არ დაგვიბრუნდება, ვერანაირი მყარი ხიდის ფუნქციას საქართველო ვერ შეასრულებს.***

– ეს უნდა გაკეთდეს სწორედ იმისთვის, რომ ცხინვალი და აფხაზეთი დაბრუნდეს, რომლებსაც რუსეთი ვერსად წაიღებს.

# „ჩვენი ეკონომიკა ნორმალურ მდგომარეობას 2022 წლის ბოლოს დაუბრუნდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ლისუფლება უნდა წავიდეს და, რა თქმა უნდა – ოპოზიციაც.

***– თქვენი პროგნოზით, უახლოეს პერიოდში ოდნავ მაინც დასტაბილურდება ლარი თუ, პირიქით, გაუფასურების გაგრძელებას უნდა ველოდოთ?***

– მე მგონი, ყველამ კარგად გავიგეთ, რომ ლარი არის იმის მაჩვენებელი, თუ რა ხდება ქვეყნის ეკონომიკაში. როდესაც უფასურდება ლარი, ავტომატურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესებულია. შეიძლება, ვიღაცამ საგარეო ფაქტორს დააბრალოს, ვიღაცამ – თურქული ლირის მოკლევადიან გაუფასურებას. ბევრ რამეს შეიძლება დავაბრალოთ, თუმცა ეს ყველაფერი ერთად უარყოფითად აისახება ლარის კურსზე.

ეროვნული ბანკის პროგნოზები ვახსენე და იქ მცურავ გაცვლით კურსთან დაკავშირებითაც არის პროგნოზი. პესიმისტური პროგნოზით, დოლართან მიმართებით, შესაძლოა, წელს 5-დან 10%-მდე გაუფასურება იყოს. ეს ნიშნავს, რომ, შესაძლოა, 3.7-ის ნიშნულამდე ავიდეს, თუ პესიმისტური სცენარით წავა ვითარება. აქ, რა თქმა უნდა, არის დაშვებები. ეკონომისტებს უყვართ სიტყვები: სხვა თანაბარ პირობებში. თუ შეიქმნება საიმისო პირობები იმისათვის, რომ ლარი გაუფასურდეს, ეს მოხდება.

ზოგადად, ეკონომიკაში პროგნოზირება ძალიან რთულია, მით უმეტეს – მცურავი გაცვლითი კურსის პროგნოზირება, თუმცა, თუ დავეყრდნობით ეროვნული ბანკის სცენარებს, მაშინ საბაზო სცენარით ლარის კურსი სტაბილური იქნება და დაახლოებით 3.4-ის ფარგლებში დარჩება, მაგრამ არსებობს გაუფასურების ალბათობაც. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დროულად არ დავიწყეთ ვაქცინაცია არ გავხსენით ეკონომიკა, ტურისტები არ შემოვიდნენ, სავალუტო შემოდინებები ნაწილობრივ თუ მაინც არ აღდგა. ექსპორტის აღდგენა იმ დონეზე, რომ სავალუტო შემოდინებები იყოს, ძალიან რთული იქნება. რაც შეეხება ფულად გადმორიცხვებს, ამაზე ჩვენ ვერ ვზემოქმედებთ და ეს დამოკიდებულია იმაზე, რას იშოვიან ჩვენი ემიგრანტები და რას გადმორიცხავენ. ერთადერთი გზაა ქვეყნის დროული გახსნა ტურისტული თვალსაზრისით.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით, უკვე მეორე დღეა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები, ნამახვანჰესის წინამოსამზადებელი სამუშაო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით, რიონის ხეობაში არიან მობილიზებულნი. გარდა ამისა, ადგილზე განთავსებულია შესაბამისი საპოლიციო ინფრასტრუქტურაც.

კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს პოლიციის მიერ რიონის ხეობაში საკომუნიკაციო სიგნალის ჩამხშობი აპარატურის გამოყენება მოხდა, არ შეესაბამება სიმართლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 3 აპრილს გავრცელებულ განცხადებაშიც განმარტებულია, რომ რიონის ხეობაში განთავსებული სპეციალური სატრანსპორტო საშუალება რადიოკავშირის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საპოლიციო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს შიდა რადიოკავშირის გამაძლიერებელ მექანიზმს, რომელსაც არანაირი შემხებლობა არ აქვს ფიჭურ და სატელეფონო კავშირგაბმულობასთან, ის გამოიყენება საპოლიციო დანაყოფებს შორის რადიოკავშირის (რაციით კავშირის) გამართული მუშაობის მიზნით. რიონის ხეობაში აღნიშნული საპოლიციო ინფრასტრუქტურა რთული რელიეფური მდებარეობის და გართულებული კავშირგაბმულობის მიზეზით განთავსდა.

რაც შეეხება რიონის ხეობაში მოქალაქეთა გადაადგილების შეზღუდვას, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად, გარკვეულ მიმართულებებზე გადაადგილების შეზღუდვა დროებით ძალაში რჩება, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი საფრთხეები და სიტუაციის შემდგომი ესკალაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, არ გასცდნენ გამოხატვის თავისუფლების კანონით დასაშვებ ფარგლებს, დაემორჩილონ პოლიციის მოთხოვნებს.



აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც საზოგადოების უსაფრთხოებასა და მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება, უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც არ გასცდება კანონით დასაშვებ ფარგლებს.

# ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების 4 სოფელში პოლიციის სპეციალური საკონტროლო პუნქტები მოეწყო

საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ორგანიზებით, COVID-19-ის გავრცელების პრევენციისა და მოქალაქეთა აქტიური მონიტორინგის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ჭყონაგორასა და ჩოჩხათში, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიაში პოლიციის საკონტროლო პუნქტები ამოქმედდა.



გურიის რეგიონში, დასახელებულ სოფლებში სპეციალური ინფრასტრუქტურა მოეწყო და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა აღნიშნული პუნქტების ტერიტორიაზე საველე კარვებიააწყვეს.

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჩამოთვლილ სოფლებში შემსვლელ და გამომსვლელ მოქალაქეებს ადგილზე უტარდებათ თერმოსკრინინგი. საჭიროების შემთხვევაში, მათ ადგილზევე ჩაუტარდებათ ტესტირება. აღნიშნულ სოფლებში მოქალაქეთა შესვლა-გამოსვლა არ იზღუდება და არც სხვა მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები არ წესდება.

პოლიცია COVID-19-ის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ახორციელებს.

პოლიციის თანამშრომლები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად სოფლებში ინტენსიურად პატრულირებენ. სამართალდამცველები ადგილობრივ მოსახლეობას ვირუსის გავრცელების აღმოსაფხვრელად მიმდინარე პრევენციული ღონისძიებების შესახებ სათანადო ინფორმაციას აწვდიან და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, ატარონ პირბადე და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

# 620.000 ევროს მითვისებისთვის დაკავებულია 11 პირი

## ჯგუფის ხელმძღვანელს ანგარიშებზე 2 მილიონი ლარი ჰქონდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მასშტაბური საერთაშორისო სქემა გამოავლინა. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.





შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 11 პირი დააკავეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

შსს-ს ცნობით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან: 1992 წელს დაბადებული ჯ.ჰ., 1997 წელს დაბადებული კ.კ., 1999 წელს დაბადებული გ.მ., 1992 წელს დაბადებული გ.გ., 1997 წელს დაბადებული მ.თ., 1994 წელს დაბადებული გ.ლ., 1996 წელს დაბადებული ვ.ნ., 1993 წელს დაბადებული ა.მ., 1997 წელს დაბადებული ა.გ., 1986 წელს დაბადებული ქ.ი. და 1997 წელს დაბადებული გ.ბ. დანაშაულები 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2019 წლის გაზაფხულზე, ისრაელის მოქალაქე ჯ.ჰ.-მ, თანამზრახველებთან ერთად, ჩამოაყალიბა შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც დროის ხანგრძლივ პერიოდში ახორციელებდა კრიპტოვალუტით ვაჭრობით დაინტერესებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი თანხების თაღლითურად დაუფლებასა და ჯგუფი წევრებს შორის განაწილებას.

უკანონო საქმიანობაში ორგანიზატორებმა ეტაპობრივად ჩართეს არაერთი უცხო ენების მცოდნე პირი, რომლებიც სისტემატიურად უკავშირდებოდნენ პოტენციურ დაზარალებულებს და სთავაზობდნენ კრიპტოვალუტის უნაღდო ანგარიშსწორებით შეძენას. დაინტერესების შემთხვევაში ჯგუფის წევრები მათ დისტანციურად არეგისტრირებდნენ შესაბამის ვებგვერდზე, რის შემდგომაც მათივე სახელით ახორციელებდნენ კრიპტოვალუტის შეძენას, რომლის დროსაც უზრუნველყოფდნენ გადახდილი თანხის შესაბამისი ელ.ვალუტის არა დაზარალებულის, არამედ ორგანიზებული ჯგუფისათვის ხელმისაწვდომ ანგარიშებზე ასახვას.

ზემოაღწერილი ხერხით დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლნენ უცხო ქვეყნების, მათ შორის გერმანიის, ავსტრიის, ჩინეთის, ნიდერლანდებისა და ნორვეგიის ათეულობით მოქალაქის კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხებს.

ამ ეტაპისათვის დადგენილი ზიანის ოდენობა შეადგენს 620.000 ევროს.

ამავდროულად, ორგანიზებული ჯგუფის წევრების ნაწილმა მოახდინა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, კერძოდ კი შეიძინეს ძვირადღირებული სატრანსპორტო საშუალებები და უძრავი ქონებები, რაც გამოძიების მიერ დაყადაღებულია.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ასევე მოძიებულ იქნა და ყადაღა დაედო ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელის – ჯ.ჰ.-ს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ 2 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის თანხასაც.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება-შენახვა-გამოყენების, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, ასევე, 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს", – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ნელი დოროყაშვილი ნიკა ბასილაშვილისგან ბავშვისთვის წელიწადში 100.000 ლარს ითხოვს



ნიკოლოზ ბასილაშვილის მიმართ სასამართლოში კიდევ ერთი, დამაზუსტებელი სარჩელი შევიდა.

სარჩელის ავტორი მისი ყოფილი მეუღლე ნელი (ნეკა) დოროყაშვილია. 25 მარტით დათარიღებულ სასარჩელო მოთხოვნაში დოროყაშვილი ჩოგბურთელისთვის ალიმენტის სახით სოლიდური თანხის დაკისრებას მოითხოვს.

ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, „რუსთავი 2" სარჩელის დეტალების გახმაურებისგან თავს იკავებს, თუმცა გეტყვით, რომ საუბარია წელიწადში დაახლოებით 100.000 ლარზე, რომელიც, სარჩელის მიხედვით, ბავშვის საჭიროებებს უნდა მოხმარდეს.

სარჩელში დეტალურად არის აღწერილი მცირეწლოვნის ყოველთვიური საჭიროებები, რაც მოიცავს მის განათლებას, დასვენებას, შოპინგს, ძიძის, ასევე მძღოლის მომსახურებას და სხვ.

ნელი დოროყაშვილის ადვოკატი იამზე მარიამიძე „რუსთავი 2"-თან ადასტურებს, რომ სასამართლოში მორიგი სარჩელი ნამდვილად შესულია, თუმცა ის ამბობს, რომ ეს არის არა ახალი, არამედ დამაზუსტებელი სასარჩელო მოთხოვნა.

# ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით 415 აბი „სუბოქსინი"

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, ბათუმში ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავეს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებული არიან: 1975 წელს დაბადებული კ.ბ. და ამავე წელს დაბადებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე შ.მ.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბათუმში, კ.ბ.-ის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბუპრენორფინის" შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის" 303 აბი.

პოლიციამ მეორე დაკავებულის – შ.მ.-ის მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილის ჩხრეკისას კი „ბუპრენორფინის" შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის" 112 აბი ნივთმტკიცებად ამოიღო.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# „ზაზას ცხინვალის ციხეში ეუბნებიან, რა გაუხდა შენს მთავრობას, 1 ოსში რომ არ გცვლიანო"

წითელი ჯვრის დახმარებით პატიმარი ზაზა გახელაძე ციხეში ცოლს, ქალიშვილებსა და მამას შეხვდა.

ზაზას მეუღლე ირმა ბუთხუზი რადიო „თავისუფლებას" ქმართან შეხვედრის დეტალებს უყვება.

– ძალიან უიმედოდ არის. ერთადერთი, რისი იმედიც გამიჩნდა, ისიც ორ საათში მომიკვდაო. რუსი ჯარისკაცების დაკავებას გულისხმობდა და მაშინ მიეცა იმედი, რომ გაცვლიდნენ. (7 მარტს, შსს-მ სოფელ ხურვალეთში, საოკუპაციო ძალების ორი შეიარაღებული პირი დააკავა და მალევე გაათავისუფლა).

ციხეში ზაზას სულ ეუბნებიან, რა გაუხდა თქვენ მთავრობას, რომ ერთი ოსი დათმონ და შენ გაგცვალონო. ზაზას არ ეუბნებიან, ვისზეა ლაპარაკი, მაგრამ ეუბნებიან, რომ საქართველოს ოსები ჰყავს დაკავებული და არ გცვლიანო. ზაზას უთქვამს, ვიცი, რომ ოქონის ხატის ამბავზე (საუბარია ოქონის ტრიპტიკონზე, რომელიც საქართველოს მუზეუმშია და მასზე პრეტენზიას დე ფაქტო ხელისუფლება აცხადებს) და ჩორჩანას საგუშაგოს აღებაში არ გამცვლიანო.

ზაზას კითხვები უჩნდება, თუ მართლა არის ვინმე ოსი საქართველოში დაკავებული, რატომ არ მცვლიანო. ძალიან უიმედოდ არის. ბავშვებს რომ ეფერებოდა, ასე ეუბნებოდა, ალბათ რომ გამოვალ, უკვე დიდები იქნებით და ველარ ჩაგეხუტებით და მოგეფერებითო. დაკავებაზე რომ ვკითხე, ასე მიპასუხა – ერთი იცოდე, რომ მე არ მისვრია და არც იქით მხარეს გადავსულვარო. და ამ თემაზე და თავის პრობლემაზე აღარაფერი მითხრა, – ამბობს ირმა ბუთხუზი.

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის სასამართლომ 2021 წლის 5 თებერვალს 33 წლის ზაზა გახელაძეს 12 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

# გომისმთაზე ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

3 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის გზაზე მაშველებმა ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს. მას ოჯახის წევრები მეორე დღეა, ეძებდნენ.

მამაკაცის ავტომობილი გზიდან 100 მეტრში იყო გადავარდნილი.

მაშველმა-მეხანძრეებმა ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი უკვე ამოიყვანეს.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# რუსთავში 9 ლიფტი გაქარცვეს

რუსთავის XII მიკრორაიონში 9 ლიფტი გაქურდეს. უცნობმა პირებმა ლიფტის ძრავისთვის განკუთვნილ რკინის კარადაში შეაღწიეს და ფერადი ლითონი მოიპარეს.

რუსთავის პოლიციის თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად ქურდობის საქმეზე 2 არასრულწლოვანი ამხილეს.

„ინფო რუსთავის" ინფორმაციით, ნივთმტკიცებად ამოღებულია მოპარული ლითონი.

მომხდარის გამო რამდენიმე კორპუსის მოსახლეობა ლიფტის გარეშე დარჩა.

## ვატიკანში კათოლიკურმა ეკლესიამ აღდგომა მრევლის გარეშე აღნიშნა



გუშინ, 4 აპრილს, ვატიკანში, წმინდა პეტრეს ტაძარში, კათოლიკურმა ეკლესიამ აღდგომა მრევლის გარეშე აღნიშნა.

ტაძარში მორწმუნეებისთვის განკუთვნილი ადგილები მთლიანად ცარიელი იყო. ღვთისმსახურებას მხოლოდ სასულიერო პირები ესწრებოდნენ.

წმინდა პეტრეს ტაძარში ღვთისმსახურება ჩვეულებრივთან შედარებით 2 საათით ადრე დაიწყო, რათა კომენდანტის საათამდე სასულიერო პირებს დროულად დაბრუნება შესძლებოდათ.

ღვთისმსახურების დროს რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა, რომ პანდემიით გამოწვეული ბნელი პერიოდი დასრულდება და ხალხი ნორმალურ ცხოვრებას მალე დაუბრუნდება.

მან მორწმუნეებს მოუწოდა, იზრუნონ იმ ადამიანებზე, რომლებსაც დღეს დახმარება ყველაზე მეტად სჭირდებათ.

## ვაშინგტონში კაპიტოლიუმს თავს დაესხნენ



გასულ კვირას ვაშინგტონში კაპიტოლიუმის შენობაზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ავტომობილი შეეცადა, გაენგრია ჯებირი, რომელიც კაპიტოლიუმს არტყამს. შემდეგ მანქანა გაჩერდა და იქიდან დანით შეიარაღებული მამაკაცი გადმოხტა. ის პოლიციელებისკენ გაიქცა და მათ დანა მოუქნია.

ამერიკელმა ძალოვნებმა ცეცხლი გახსნეს. თავდამსხმელი დაიჭრა. მოგვიანებით ის გარდაიცვალა. მძიმედ დაიჭრა პოლიციელი უილიამ ევანსიც. მალე ისიც გარდაიცვალა.

პოლიციამ მოკლული თავდამსხმელის ვინაობა დაადგინა. მას ნოარ გრინი ჰქვია. ის ე.წ. შავი რასისტია, პიროვნება, რომელიც აფროამერიკული რასის უპირატესობაშია დარწმუნებული.

— ჯერჯერობით ვერ დადგინდა გრინის კავშირი რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციასთან, — განაცხადა კაპიტოლიუმის პოლიციის უფროსმა პიტსმანმა.

## საფრანგეთში კომენდანტის საათი მესამედ ამოქმედდა



საფრანგეთში კორონავირუსის პანდემიის შეჩერების მიზნით ახალი შეზღუდვები უკვე მესამედ ამოქმედდა.

შეზღუდვებს შორისაა კომენდანტის საათი, რომელიც 19:00-დან 06:00-მდე მოქმედებს.

ამასთან, ქვეყანაში მაღაზიები და სკოლები 2 კვირის განმავლობაში დაიხურა.

საფრანგეთის მოსახლეობას საცხოვრებელი სახლიდან 10 კილომეტრის რადიუსს გარეთ გადაადგილება ეკრძალება. აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში მათ სპეციალური საშვი უნდა წარადგინონ.

საფრანგეთში კორონავირუსი 4.7 მილიონზე მეტ ადამიანს დაუდგინდა. ვირუსს 96.000-ზე მეტი ინფიცირებული ემსხვერპლა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მამაკაცი გამოგონილ პიროვნებაზე გამოწერილი ორდერით დააკავეს




პოლიციამ ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრები დააკავა. მამაკაცმა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს გამოგონილი სახელი დაუსახელა, თუმცა ასეთი მონაცემების მქონე ადამიანი ფედერალური ძებნილი აღმოჩნდა. შედეგად მამაკაცი დააპატიმრეს.

პოლიციელებმა გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ მამაკაცის ავტომობილი მას შემდეგ, რაც ის შეეცადა, სახე ფარების შუქისთვის მოერიდებინა და ამისთვის მგზავრისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩაიმალა. პირადი ჩხრეკის დროს მამაკაცს ნარკოტიკები, 26 გრამი მეტამფეტამინი აღმოუჩინეს.

დაკავებულის ნამდვილი ვინაობა მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მას თითების ანაბეჭდები აუღეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## უსახლკარო სოლიდური თანხის ჩუქებამ აატირა



აშშ-ში უცნობებმა ინტერნეტში მსხვილი თანხა შეაგროვეს უსახლკარო მამაკაცისთვის, რომელიც თანხის გადაცემის დროს ატირდა.

24 წლის ფილიპ ბუმი, ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ნიუპორტ-ბიჩიდან, ქვეყანაში საკუთარი ავტომობილით მოგზაურობდა და ღამესაც ავტომობილში ათევდა. მან ერთ დღესაც გაიცნო 46 წლის უსახლკარო მამაკაცი, სახელად მაიკი, რომელმაც მას მანქანის მინების გარეცხვა შესთავაზა.

თავდაპირველად ბუმ უარი უთხრა მაიკს, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა მას სენდვიჩით გამასპინძლებოდა და მალე ისინი დამეგობრდნენ. აღმოჩნდა, რომ უსახლკარო მამაკაცმა ძალიან ადრეულ ასაკში დაკარგა მამა და მას შემდეგ ოჯახთან ურთიერთობა აღარ ჰქონია. ის რამდენჯერმე მოხვდა ციხეშიც, თუმცა, რა დანაშაულებისთვის, უცნობია.

— მან მითხრა, რომ ოცნებობდა ოდესმე მოგზაურობაში წასულიყო. მაიკი საკუთარი სიცოცხლისთვის იბრძოდა და ცდილობდა თავის შეყვარებულს დახმარებოდა. მე კი მანქანაში გართობის მიზნით ვცხოვრობდი. ის კარგი, მშრომელი ადამიანია, — ხაზგასმით აღნიშნა ბუმ.

მიმდინარე წლის თებერვალში მან ორგანიზება გაუკეთა მაიკის საცხოვრებლისთვის თანხის ონლაინ შეგროვებას. მან 17 ათასი დოლარის შეგროვება მოახერხა. ახლა მაიკს საკმარისი თანხა აქვს იმისთვის, რომ ღამე ქუჩაში აღარ ეძინოს, მინიმუმ ერთი წელი მაინც.

უსახლკაროსთვის თანხის გადაცემის მომენტი ბუმ ვიდეოზე გადაიღო. მაიკი ატირდა, როდესაც ფულით სავსე კონვერტი დაინახა და გაიგო, რომ მისთვის ეს თანხა მრავალმა ადამიანმა შეაგროვა.

## ნახევარი საუკუნის წინ ჩაკეტილ სეიფში ფასდაუდებელი საბუთები აღმოაჩინეს



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სტოკტონში წყნარი ოკეანის უნივერსიტეტში შემთხვევით აღმოაჩინეს ნახევარი საუკუნის წინ ჩაკეტილი სეიფი, რომელშიც საბუთები აღმოჩნდა.

უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტმა კრისტოფერ კალაჰანმა განაცხადა, რომ მეტრნახევარი სიმაღლის ძველი სეიფი სარდაფში დალაგების დროს შენიშნეს.

— ქვევით ჩავედი და კუთხეში ეს საკმაოდ ძველი სეიფი დავინახე, — აღნიშნა პრეზიდენტმა, — მისი გახსნა ადვილი არ აღმოჩნდა.

სეიფის გასახსნელად მეხანძრეების ადგილობრივი ბრიგადა გამოიძახეს. სპეციალისტებს ეშინოდათ, შესაძლოა მასში შენახული ნივთები დაეზიანებინათ, ამიტომ ლითონის საჭრელები და ხერხები არ გამოუყენებიათ. საბოლოოდ მათ სეიფი ჰიდრავლიკური მაკრატლის გამოყენებით გახსნეს. მასში აღმოჩნდა ფასდაუდებელი საბუთები, რომლებშიც დაწვრილებით იყო აღწერილი სასწავლებლის დაარსება. საბუთებს შორის ასევე იყო 1851 წლის ხელით ნაწერი ჟურნალები. 1862 წლის დიპლომი და სხვა ისტორიული საბუთები.

— ეს ყველაფერი ისტორიითა გაჯერებული. ჩვენ თითქოსდა ოქროს ფსკერს მივაგენით, — განაცხადა კალაჰანმა, — ჩვენ ძალზე აღფრთოვანებულები ვართ.

## ფიტნეს-მწვრთნელს კოფეინის გადამეტებული დოზა სიცოცხლის ფასად დაუჯდა




უელსის კონუის საგრაფოს ქალაქ კოლუინ-ბეიში ფიტნეს-მწვრთნელმა ვარჯიშის წინ კოფეინის შემცველი მეტისმეტად ბევრი ენერგეტიკული სასმელი მიიღო და მოულოდნელად გარდაიცვალა.

29 წლის ორი შვილის მამა თომას მენსფილდი სამსახურიდან სახლში დაბრუნდა და სავარჯიშო დარბაზში წასასვლელად მზადება დაიწყო. მან გააკეთა კოქტეილი, რომელსაც ჩვეულებრივ ვარჯიშამდე სვამდა და მასში კოფეინი დაამატა. სასმელის მიღებისთანავე მამაკაცმა მეუღლეს შესჩივლა, რომ თავს ცუდად გრძნობდა და გულისცემა ჰქონდა აჩქარებული.

მამაკაცი სასწრაფოდ ქალაქ ბოდელვიდანის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა. ის იმავე დღეს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში გარდაიცვალა.

სასამართლოს სამედიცინო ექსპერტიზამ აჩვენა, რომ მენსფილდის გარდაცვალება კოფეინის გადამეტებულმა დოზამ გამოიწვია. სპეციალურმა კვლევამ აჩვენა, რომ გარდაცვლილის ერთ ლიტრ სისხლზე 392 მილიგრამი კოფეინი მოდიოდა. ამ დრომდე უცნობია, თუ რომელი ენერგეტიკული სასმელი მოიხმარა გარდაცვლილმა ფიტნეს-მწვრთნელმა.

## ცალთვალა ლეოპარდის და გიენას ორთაბრძოლა იმპალასთვის ვიდეოზე გადაიღეს



სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ დაუპირისპირდა ანტილოპა იმპალასთვის ბებერი ცალთვალა ლეოპარდი გიენას და ნადავლის გარეშე დარჩა.

ამ შემთხვევის თვითმხილველი 43 წლის შარლინ სუონპელი გახდა, რომელიც საფარი-პარკში ოჯახთან და მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა. ქალის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ ჩაურბინა ჯიპს შორიახლო იმპალების ჯოგმა. ერთ-ერთი მათგანი ჯოგს ჩამორჩა და ხეების უკან ჩასაფრებული ლეოპარდის ნადავლად იქცა.

რამდენიმე წამში იქვე მიირბინა გიენამ და ლეოპარდი გააგდო. მტაცებლების დაპირისპირების დროს იმპალა შეეცადა მათგან თავი დაეღწია, მაგრამ უშედეგოდ. ცალთვალა ლეოპარდმა არაერთხელ სცადა ნადავლი დაებრუნებინა, მაგრამ გაცილებით ახალგაზრდა და მკვირცხლ გიენასთან ვერაფერს გახდა. საბოლოოდ ლეოპარდის მონადირებული იმპალა გიენას დარჩა.

## მეთევზემ ზვიგენის მოგერიება და ნაპირზე გამოსვლა შეძლო




ავსტრალიაში მეთევზემ მოახერხა, მოეგერიებინა ზვიგენის თავდასხმა და ერთიანად დასისხლიანებულმა ნაპირზე გამოაღწია.

შაბათს, 27 მარტს, ჯექსონ ჰაუსონი და მისი შეყვარებული დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ პერტის სანაპირო წყლებში თევზაობდნენ. მამაკაცი წყალში გადახტა, რათა შუბით დაეჭირა თევზი და სწორედ ამ დროს მას თავს დაესხა მტაცებელი თევზი, სავარაუდოდ, ვეშაპისებური ზვიგენი. მან მეთევზეს კბილები ფეხში ჩაასო, რის შედეგადაც მამაკაცს დაახლოებით რვა სანტიმეტრი სიგრძის ნაფლეთი ჭრილობა დარჩა.

ჰაუსონმა ზვიგენის მოგერიება მოახერხა და ნავამდე, სადაც შეყვარებული ელოდებოდა, 100 მეტრამდე მანძილი გაცურა. შორიახლო თევზაობდა მეთევზე ნიკ ნარდი, რომელიც მომხდარის თვითმხილველი გახდა.

— ჩვენ თეთრი ნავი შევნიშნეთ, რომელიც გვიახლოვდებოდა და შევშფოთდით, — ყვება მეთევზე, — მასში სისხლის გუბეში მჯდომი ყმაწვილი დავინახეთ.

ნარდი და მისი ახლობელი თავიანთი ნავით ჰაუსონის ნავს ნავმისადგომამდე გაჰყვნენ.

— მისი მეგობარი გოგონა ისე ნერვიულობდა, რომ ნავის მართვას ვერ ახერხებდა, ყმაწვილი კი მის ფსკერზე იწვა, — იხსენებს ნარდი, რომელიც ამის გამო მათ ნავში გადავიდა და ნავმისადგომამდე მიიყვანა. ადგილზე მისულმა პარამედიკოსებმა მამაკაცს იარები დაუმუშავეს და შემდეგ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მიშა მდინარაძე: „ყველა მტერი, რომელიც აქ საგულაოდ ჩამოვა, ზუსტად ისე გაძევდება, როგორც ვ.ვ. პოზნერი“



აცხადებს კომპოზიტორი მიშა მდინარაძე და რუსეთს მონატრებულებს იქ წასვლას სთავაზობს:

— ხელოვანებო, მუსიკოსებო, მუსიკათმცოდნეებო, რეჟისორებო, მსახიობებო, არ ვიცი, კიდევ ვინ ხართ, ვინც ჭიპლარით ხართ მიერთებული დედა რუსეთთან და პოსტ „სამშობიარო“ ტრავმა ისე გაგიგრძელდათ, რომ ვერაფრით ხვდებით, რა უნდა ქნათ დედა რუსეთის „წიაღის“ დატოვების შემდეგ, ვისთვისაც ვ.ვ. პოზნერის „შეურაცხყოფა“ იდენტიფიცირებულია საკუთარ თავთან და „დედის“ შეურაცხყოფასთან. წადით, დაბრუნდით საკუთარ სამშობლოში.

წადით რუსეთში, ფონდებში, სცენებზე, არ ვიცი, კიდევ სად მუშაობდით, მაგრამ ამ ქვეყანას დაანებეთ თავი, დღემდე რომ გუბერნიად მიგაჩნიათ, რომელმაც ხინკლისა და ხაჭაპურის იქით არაფერი იცის და მისი მთავარი დანიშნულება ისაა, კვებოს ბოიარინები და მათი მუცლების სისავსეზე იზრუნოს. ხომ ხედავთ, თქვენს არსებობას არ აქვს აზრი ვლადიმეროვიჩების გარეშე. თქვენ რომ გესიზმრებათ, ის საქართველო აღარ დაბრუნდება არასოდეს და, დიახ, ყველა მტერი, რომელიც აქ საგულაოდ ჩამოვა, ზუსტად ისე გაძევდება, როგორც ვ.ვ. პოზნერი, მონა ჟურნალისტი.

ნეტა ჩემი ნება იყოს, 37 ლარზე მეტს არ გადაგახდევინებდით ბილეთში ცალ მხარეს, ამოვისუნთქავდით ყველა, თქვენც და ჩვენც.

## თეა დარჩია: „ვიხრჩობი უკვე ამ ქვეყანაში ცხოვრებით!“



ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავე თეა დარჩია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრების ეშინია:

— ვიხრჩობი უკვე ამ ქვეყანაში ცხოვრებით! მახრჩობს ქვეყანა, რომელიც სიცოცხლესავით მიყვარს, მახრჩობს ხალხი, რომელთან ერთადაც დავბერდი, მახრჩობს ტყუილი ყველგან და ყველაფერში!

ადამიანებს ვუსმენ და თან ჩვევად მექცა სიტყვების მიღმა ტყუილის ძებნა! მახრჩობს იმაზე ფიქრი, რომ მომავალი არ არსებობს, რადგან, რაც მიყვარდა და რითაც ვსულდგმულობდი და ვეთაყვანებოდი, გაქრა! გაქრა ნდობა, ერთობა, სითბო, ურთიერთობა, იმედი, რომ ოდესმე რამე შეიცვლება, რომ ოდესმე ჩემი საამაყო ქვეყანა და ხალხი სიმშვიდესა და ბედნიერებას ეღირსება.

მეშინია ჩემი შვილების მომავლის!!! მეშინია, რომ ერთხელაც მომიბრუნდებიან და დიდი, ცრემლიანი და დაბნეული თვალებით მკითხავენ, ამ ქვეყანაში რატომ გაგვაჩინეო? მეშინია, რომ პასუხი არ მექნება და ვერც ერთ მიზეზს ვერ ვეტყვი! მეშინია იმის, რომ ერთხელაც გათენების შემეშინდება, რადგან სიცოცხლე აღარ მომინდება!

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ შემრცხვებოდა, რომ ქართველი ვარ! საშინელებაა, როცა საჭმელიც გაქვს, თითქოს არაფერი გაკლია, შვილებიც ჯანმრთელები და ბანკის ვალსაც რაღაცნაირად სასწაულით ისტუმრებ და მთავარი, უმთავრესი არ გაქვს — ღირსება, სულიერი სიმშვიდე, ბედნიერების განცდა და მომავლის იმედი, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ როგორ, თუ ერთმანეთი გვძულს, ერთმანეთის გვშურს და ერთმანეთის აუტანლობა შხამავს, წამლავს და ალპობს ჩვენს სულებს!

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ოდესმე 90-იანები მომენატრებოდა, რომ ვინატრებდი შიმშილს, უშუქობას, უქონლობას, სრულ იმდროინდელ კოშმარს, მაგრამ მაშინ ერთად ვიყავით, ერთ მუშტად შეკრულები, ერთი იდეისა და ერთი ღირსების, თავისუფლებისა და მომავლის იმედის ირგვლივ! არაფერი ისე არ ფიტავს და ანგრევს ადამიანს, როგორც გაუთავებელი ტყუილი და უიმედობა! ველარ ვხედავ ქუჩაში გაღიმებულ და ბედნიერ სახეებს, ლამაზ და ლაღ ქართველებს, აღარ ისმის ქართველების სიცილი და სიმღერა ფანჯრებიდან! მხოლოდ: დამეხმარეთ, მიშველეთ, შემეწიეთ, მშია, მტკივა და მიჭირს! აი, რა მესმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე! როგორ სეირნობთ ქუჩაში, როგორ გიხარიათ, საერთოდ ჰაერი როგორ ჩაგდით ფილტვებში, როცა ამდენი უბედური და სასოწარკვეთილი ადამიანი ხელგამოწვდილი ზის ქუჩაში?! რანაირად?!

ეჰ... სადამდე დავედით, გარეთ გასვლაც კი აღარ მინდა! არც ტელევიზორის ყურება აღარ მინდა და აღარც არაფრის მოსმენა და გაგება, არაფერი კარგი არ ხდება! არაფერი არ იცვლება, ჩემი სამშობლო, ჩემი ქვეყანა გაჩერდა და წინ გზა ჩახერგილია! ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ჩვენც ვდგავართ ერთ ადგილას გაყინულები და არც არაფერს ვაკეთებთ, მხოლოდ ერთმანეთს ვუყურებთ სიძულვილით, ბოღმითა და ცარიელი, უსულო თვალებით!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ეროვნულ ლიგას თბილისის „დინამო“ ჩაუდგა სათავეში

საქართველოს კრისტალბეთ ეროვნული ლიგის მეექვსე ტური დასრულდა. მას ახალი ლიდერი ჰყავს – თბილისის „დინამო“.

გიორგი ნემსაძის გუნდმა „დინამო ბათუმის“ ქულების დაკარგვით კარგად ისარგებლა და კიდევ ერთი თანალიდერი გორის „დილა“ თვითონ დაამარცხა.

მატჩი დაძაბული გამოდგა, მაგრამ თბილისელები უპირატესობას ფლობდნენ და საგოლე მომენტები უფრო მეტად რომ გამოეყენებინათ, უფრო სოლიდური სხვაობით მოიგებდნენ.

მატჩის ბედი კი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც დასაწყისშივე, მე-13 წუთზე ლუკა გაგნიძემ გაიტანა, რომელმაც ლუკა გუგეშაშვილის შეცდომის შემდეგ სიტუაცია სწრაფად და იდეალურად შეაფასა.

ამრიგად, ნემსაძემ ყოფილ გუნდთან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა „დილას“ მწვრთნელმა ანდრეი დემჩენკომ.

– ის, რაც „დინამოს“ შევთავაზეთ, მხოლოდ ჩვენი შეცდომებია. ორი ძალიან კარგი გუნდის თამაში იყო დღეს. „დინამოს“ ფეხბურთელების დონე იგრძნობა, ისინი კვალიფიციური მოთამაშეები არიან, მაგრამ კარგი წინააღმდეგობა გავუწიეთ.

შედეგი ცუდია, მაგრამ კარგ გუნდთან უფრო კარგად ჩანს, რაზეა სამუშაო, რა უნდა გამოვასწოროთ, გავაუმჯობესოთ...შეცდომებს გავაანალიზებთ, უკვე ვიცით, ასეთ გუნდებთან მატჩში რაზე გვაქვს სამუშაო და მომდევნო მატჩებში ეს გამოგვადგება.

თბილისის დინამო 13 ქულით ლიდერობს, შემდეგ მოდის ბათუმის დინამო, რომელიც ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება, ხოლო „დილა“ და „ლოკომოტივი“ მესამე-მეოთხე ადგილებს 11-11 ქულით იყოფენ.

# ხვიჩა კვარაცხელია 3 იტალიურ გიგანტს უნდა

3 აპრილს ხვიჩა კვარაცხელიამ ისევ გამოიჩინა თავი. ამჯერად მან გოლი რუსეთის პირველობაზე გაიტანა და რუბინს სოჭთან გამარჯვება მოუტანა.



„საქართველოს ნაკრების ლიდერი, ხვიჩა კვარაცხელია გოლების გატანას რეგულარულად აგრძელებს და მის სატრანსფერო ღირებულებასაც საკმაოდ ზრდის. გასული კვირის განმავლობაში ხვიჩამ ეროვნული ნაკრების მაისურით 2 გოლი გაიტანა, შემდეგ რუსეთში ჩამოფრინდა და „სოჭს“ დიდებული გოლი გაუტანა“, – წერს რუსული პრესა.

კომენტარი ასევე გუნდის დირექტორმა რუსტემ საიმანოვმაც გააკეთა:

– ევროპულ მედიას თუ დავუჯერებთ, ხვიჩას მიმართ 3 იტალიური გიგანტი, „ნაპოლი“, „იუვენტუსი“ და „მილანი“ ინტერესდებიან. ჯერჯერობით არავინ მოსულა, თუმცა, თუ მოვლენ, მოვილაპარაკებთ. ჩემი მიზანი მისი შენარჩუნებაა, თუმცა, თუ გრანდებს ის მოუნდებათ, მე მისი შენარჩუნების უფლება არ მაქვს. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად მინდა, რომ ის გუნდში დარჩეს, თუ ევროპის წამყვანი გუნდები ქართველის წაყვანას მოინდომებენ, ხვიჩა ჩვენ დაგვტოვებს.

რუსი ჟურნალისტი ნობელ არუსტამიანი ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ საინტერესო სიახლეს ავრცელებს. როგორც მან ტელეგრამში დაწერა, მამუკა ჯუღელი იტალიაში გაფრინდება და „მილანისა“ და „იუვენტუსის“ წარმომადგენლებს შეხვდება.

გარდა ამისა, კახა კალაძემ პაოლო მალდინისთან კვარაცხელიას კარგი რეკომენდაცია გაუწია, მათ კი თბილისში, ესპანეთთან მატჩზე სკაუტები გამოგზავნეს.

„ევროპული გუნდები ხვიჩასთან და მის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს იწყებენ. რამდენადაც მე ვიცი, აგენტი, მამუკა ჯუღელი გაფრინდება იტალიაში, სადაც ის მოლაპარაკებებს „მილანისა“ და „იუვენტუსის“ წარმომადგენლებთან გამართავს. მხარეები კვარაცხელიას შესაძლო ტრანსფერს განიხილავენ. იტალიაში, „ნაპოლიც“ განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩევა.

როგორც ამბობენ, კახა კალაძე იტალიაში ხვიჩასთვის კარგ საქმეს აკეთებს. „მილანის“ ლეგენდას აქტიურად ეკითხებიან აზრს ხვიჩას პოტენციალის შესახებ და ისიც საუკეთესო რეკომენდაციებს იძლევა. კალაძემ კვარაცხელიას თემა არამარტო აგენტებთან, არამედ „მილანის“ ტექნიკურ დირექტორთან და ასევე თავის ყოფილ თანაგუნდელ პაოლო მალდინისთან განიხილა. მათ კი თბილისში, საქართველო-ესპანეთის მატჩზე თავისი წარმომადგენლებიც გამოაგზავნეს“, – წერს ტელეგრამში არუსტამიანი.

# გოგა გახოკიძე: „ჩაკვეტაძე მალე ითამაშებს“

„გენტისა“ და საქართველოს ნაკრების შემტევის გიორგი ჩაკვეტაძის აგენტმა გოგა გახოკიძემ ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისაუბრა.

– გიომ თავიდან ჯვარედინის ოპერაცია გაიკეთა და შემდეგ ტკივილები ჰქონდა, რის გამოც დიდი პერიოდი გამოტოვა.

ახლა ეს ტრავმა მორჩა და ბოლოს ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი იყო, მხოლოდ კუნთი გაეჭიმა, რაზეც „გენტის“ მწვრთნელმაც ისაუბრა.

ვფიქრობ, ძალიან მალე ის გუნდის განაცხადშიც მოხვდება და ითამაშებს, რადგან მას საგანგაშო აღარაფერი სჭირს და „გენტსაც“ ფლეი ოფში მოსახვედრად უმნიშვნელოვანესი თამაშები აქვს.

ჩაკვემ ძალიან მძიმე ოპერაცია გადაიტანა და თითქმის ორი წელი გამოტოვა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ მისი მონაცემების ფეხბურთელს კვლავ მაღალ დონეზე ასპარეზობა შეუძლია, – თქვა გახოკიძემ.

# გიორგი აბუაშვილი პორტუში ჩაირიცხა

გავრცელებული ინფორმაციით, რომელიც მალე ოფიციალურად უნდა გახდეს ცნობილი, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი გიორგი აბუაშვილი პორტუგალიურ გრანდ „პორტუს“ რიგებში ჩაირიცხა.

მარცხენა ნახევარმცველი, რომელიც ტრანსფერის დადასტურებამდე თბილისის „დინამოს“ წევრად მიიჩნევა, სრულწლოვანი ახლახან გახდა.

აბუაშვილი გამორჩეული იყო ასაკობრივ ნაკრებში და შვეიცარიელი თანატოლების წინააღმდეგ მისი მშვენიერი გოლიც გვახსოვს.

# „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი „შუქურაში“ გადავიდა

ქობულეთის შუქურამ „მანჩესტერ სიტის“ 23 წლის განელი ნახევარმცველი კოლინს ტეინორი დაიმატა.

ნახევარმცველი „ქალაქელთა“ რიგებში 2016-2020 წლებში ირიცხებოდა, თუმცა გუნდში არც ერთი თამაში არ ჩაუტარებია, რადგან სულ განათხოვრებული იყო.

განელი ფეხბურთელი „ნორჩესლანდში“, „ბერშოტსა“ და „ობროში“ გამოდიოდა.

# „სოსიედადმა“ ბოლო 34 წელიწადში პირველი ტიტული მოიგო

სან სებასტიანის „რეალ სოსიედადმა“ ესპანეთის სამეფო თასი მოიგო.

3 აპრილს სევილიაში გამართულ ფინალში იმანოლ ალგუასილის გუნდმა ბასკურ დერბიში „ბილბაო“ დაამარცხა.

მატჩის ბედი მიკელ ოიარზაბალის ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელმაც მეტოქის კარში პენალტი გაიტანა.

„სოსიედადმა“ 34 წელიწადში პირველი ტიტული მოიგო. ბოლოს სწორედ სამეფო თასი ჰქონდა მოგებული შორეულ 1987 წელს, ისტორიაში კი ამ ჯილდოს მესამედ დაეუფლა.

ეს იყო 2020 წლის ესპანეთის თასის ფინალი, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო პრაქტიკულად ერთი წლით გადაიდო, რათა მატჩს გულშემატკივარი დასწრებოდა, თუმცა ეს არ გამოვიდა და „ესტადიო კარტუხაზე“ თამაში მაინც უმაყურებლოდ გაიმართა.

„სოსიედადი“ ესპანეთის თასის მოქმედი ტრიუმფატორის წოდებას მხოლოდ ორი კვირა შეინარჩუნებს, რადგან 17 აპრილს უკვე მიმდინარე სეზონის ფინალია დაგეგმილი, რომელშიც ისევ „ბილბაო“ ითამაშებს, მაგრამ მისი მეტოქე ამჯერად „ბარსელონა“ იქნება.

# „ლივერპულმა“ „არსენალი“ გაანადგურა და „რეალი“ შეაშინა

3 აპრილს პრემიერ ლიგის 30-ე ტურში ლონდონის „არსენალმა“ „ლივერპულს“ უმასპინძლა და უთანასწორო ბრძოლაში 0:3 დამარცხდა.

მერსისაიდელთა რიგებიდან დუბლი დიეგო ჟოტამ შეასრულა, 1 გოლიც მუჰამედ სალაჰმა გაიტანა.

ამრიგად, 30 ტურში 49 ქულით „ლივერპული“ პრემიერ ლიგაში მე-5 ადგილს იკავებს, არსენალი 42 ქულით მე-9 ადგილზე იმყოფება.

მერსისაიდელები მომდევნო შეხვედრას 6 აპრილს მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ გამართავენ, „მეთოფეები“ 8 აპრილს პრაღის „სლავიას“ დაუპირისპირდებიან. როგორც ჩანს, იურგენ კლოპის გუნდმა ფორმა აკრიფა და ზედიზედ 3 გამარჯვებაც მოიპოვა, თავის მხრივ, „სამეფო კლუბიც“ შესანიშნავ ფორმაშია, რომელმაც ასევე 3 აპრილს „ეიბარი“ 2:0 დაამარცხა.

# ალვარო მორატა „ატლეტიკოში“ დაბრუნდება

„იუვენტუსის“ თავდამსხმელი ალვარო მორატა ზაფხულში მადრიდის „ატლეტიკოში“ დაბრუნდება.

იტალიური კლუბის ხელმძღვანელები ესპანელი ფორვარდის თამაშით კმაყოფილები არიან, მაგრამ ფინანსების გამო მის გამოსყიდვაზე ალბათ უარს იტყვიან.

„იუვემ“ მორატას სანაცვლოდ 1-წლიან იჯარაში უკვე გადაიხადა 10 მილიონი ევრო, ხოლო მისი გამოსყიდვა 45 მილიონ ევროდ შეუძლია. არის მეორე ვარიანტიც, რომ მხოლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადოს და იჯარა ერთი წლით განაახლოს, თუმცა, კლუბს სერიოზული ფინანსური კრიზისი აქვს და ამის გამო დიდი შანსია, რომ ესპანელი სამშობლოში დაბრუნდეს.

ალვარო მორატამ მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე „იუვენტუსის“ რიგებში ჩატარებულ 35 მატჩში 16 გოლი გაიტანა და 12 საგოლე პასი შეასრულა.

ტურინში მის მთავარ შემცვლელად არკადიუშ მილიკს მიიჩნევენ.

# ნეიმარი გააძევეს. მან გასახდელშიც იჩხუბა

3 აპრილს, პსჟ-სა და „ლილის“ დაპირისპირება ჩხუბით დასრულდა.

სტუმრებმა შეხვედრა 1:0 მოიგეს, ამაზე გაბრაზებულმა ნეიმარმა კი შეხვედრის 90-ე წუთზე ტიაგო დიალო ჯერ წააქცია, შემდეგ კი ხელი ჰკრა, რის მერეც მოედანზე სიტუაცია ძალიან დაიძაბა და ორივე ფეხბურთელი გააძევეს.

საბოლოოდ, სიტუაცია არც გასახდელისკენ მიმავალ გზაზე დასტაბილურდა და ფეხბურთელებმა გვირაბშიც იჩხუბეს.

ამრიგად, პარიზელების დამარცხებით „ლილი“ საფრანგეთის ლიგა 1-ს ერთპიროვნულად, 63 ქულით ლიდერობს და პსჟ-ს 3 ქულით უსწრებს.

# გოგა ბითაძემ 14 წუთში 8 ქულა, 7 მოხსნა და 1 პასი გააკეთა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გოგა ბითაძის „ინდიანა პეისერსმა“ მორიგი მატჩი ჩაატარა და სტუმრად „სან ანტონიო სპურსი“ დაძაბულ ბრძოლაში, 139:133 დაამარცხა. სხვათა შორის, თამაშის ბედი ოვერტაიმში გადაწყდა, რომელიც სტუმრებმა 13:7 მოიგეს.

ქართველმა კალათბურთელმა მორიგი ნაყოფიერი თამაში ჩაატარა, როგორც ამას ბოლო ხანებში შეგვაჩვია. გოგამ 14:37 წუთში 8 ქულა, 7 მოხსნა და 1 პასი მიითვალა, ოთხჯერ კი დაჯარიმდა. ბითაძემ 4-დან 2 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო 1 სამქულიანი ააცილა.

საინტერესო და საგულისხმოა, რომ როდესაც პარკეტზე ბითაძე იყო, ის მონაკვეთი ინდიანაპოლისელებმა 19 ქულით მოიგეს, რაც ქართველი ცენტრის ეფექტურობაზე მიანიშნებს.

„ინდიანამ“ ამ გამარჯვებით 3-მატჩიანი წაგებების სერია დაასრულა. „პეისერსს“ 22 გამარჯვების საპირწონედ 26 მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეცხრე ადგილზეა.

„პეისერსი“ ბოლო მომდევნო შეხვედრას 7 აპრილს „ჩიკაგო ბულსთან“ გამართავს.

# გიორგი შერმადინის 15 ქულა ლიგა ენდესაში

ესპანეთის ლიგა ენდესას 29-ე ტურში გიორგი შერმადინის „ტენერიფე“ სევილიაში „ბეტისს“ ესტუმრა და ადვილად, 93:82 მოიგო. უპირატესობა მხოლოდ 11-ქულიანია, მაგრამ ეს მხოლოდ ბოლო პერიოდის დამსახურებაა, რომელიც ანდალუსიელებმა 13 ქულით მოიგეს, თორემ მანამდე თამაშის ბედი დიდი ხნის გადაწყვეტილი იყო.

32 წლის ქართველმა ცენტრმა 20:40 წუთში 15 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. შერმადინმა 6-დან 5 ორქულიანი და ასევე 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

„ტენერიფეში“ საუკეთესო სასუ სალინი იყო, რომელმაც 20 ქულა და 5 მოხსნა დააგროვა და მატჩის მვპ გახდა.

„ტენერიფე“ 26 თამაშში 21 გამარჯვებითა და 5 მარცხით სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა, მომდევნო ტურში ის 8 აპრილს „ბურგოსს“ სტუმრად დაუპირისპირდება.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საგნის ზუსტი განსაზღვრა, დახასიათება მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 2. ძვირფასი ლითონების წონის ერთეული ძველად საქართველოში; 3. სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 4. მონღოლთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 5. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე; 11. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა, გამსხვილებული ფესვი; 12. მისაღები თანხის წინასწარ გაცემული ნაწილი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 16. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 17. ქარის მიმართულების მაჩვენებელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 19. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 21. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 22. ყავის მოსადუღებელი სახელურიანი ჭურჭელი.

**თარაზულად:** 6. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 7. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა; 8. ილეთი ჭიდაობაში; 9. გაზაფხულის ყვავილი; 10. ტერიტორიული ერთეული; 13. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული; 15. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. ადამიანის მაღალი მორალური თვისება; 20. რევაზ ლაღიძის ოპერა; 21. თაღლითი ბანქოს თამაშში; 23. სამეცნიერო საკითხებზე გამართული კონფერენცია; 24. სამგზავრო-სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სოჭი; 2. ობი; 3. დეფინიცია; 4. ოსერი; 5. პალანგა; 8. პინო; 9. ნიუანსი; 10. ჰარისონი; 12. თმოგვი; 13. შაირი; 15. სმოგი.

**თარაზულად:** 1. სორენტო; 6. დეპრესია; 7. ჭუპრი; 10. ჰაიტი; 11. უნაბი; 13. შრატი; 14. ბასრა; 16. გეთი; 17. აპოკოპე; 18. ოსტიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ექსპრომტი; 2. ერუდიტი; 3. ფიგარო; 4. სარკე; 5. ორტეგა; 11. ლაზიკა; 12. ბაცილა; 14. ჟირო; 16. ლანცეტი; 17. გურიელი; 19. რეცეპტი; 21. ბროლი; 22. ბუტკო.

**თარაზულად:** 6. ოქსფორდი; 7. სტატორი; 8. კამეა; 9. არემჯი; 10. რაბლე; 13. სტაჟი; 15. პლებისციტი; 18. დავლური; 20. ურდო; 21. ბაგეტი; 23. ფილანტროპი; 24. ლოკალი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 3.4343


ევრო — 4.0446


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7520


100 რუსული რუბლი — 4.5048

## ამინდის პროგნოზი 5 აპრილისათვის




## ქალმა ქორწილის წლისთავი აღნიშნა და გამდიდრდა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ ნიუ-ბერნის მკვიდრმა ქალმა ლატარიაში ჯეკპოტი იმ დროს მოხსნა, როდესაც თავისი ქორწილის 20 წლისთავს აღნიშნავდა.

სადხანა პატელი სუპერმარკეტს ფლობს. ის საკუთარი ქორწილის 20 წლისთავს აღნიშნავდა, როცა გადაწყვიტა, ბედი ეცადა და მომენტალური ლატარიის ბილეთები შეეძინა.

– მე ვთქვი: „ვგრძნობ, რომ გამიმართლა, მოდი, ბილეთს შევამოწმებ, – იხსენებს ქალი, – და მაშინ მივხვდი, რომ ლატარიის შტაბ-ბინაში მომიწევდა მისვლა.

პატელმა მაშინვე დაურეკა შვილებს, შემდეგ კი ახალი ამბავი მეუღლეს გაუზიარა.

– ყველანი გახარებულები ვიყავით და, ამავე დროს – გაოგნებულებიც, – აღნიშნა ლატარიის გამარჯვებულმა, რომლის მოგებამ 373,7 ათასი დოლარი შეადგინა.

მოგებული თანხის ნაწილით ქალი დაგროვილი ვალების გასტუმრებას აპირებს, ხოლო დარჩენილ თანხას ოჯახის წევრებს გაუნაწილებს.

## ორი პენსიონერი განძის დამალვისთვის სასამართლოს წინაშე წარდგება



ორ ბრიტანელ პენსიონერს განძის, რომლის ღირებულება მილიონ ფუნტ სტერლინგს აღემატება, დამალვის ბრალდებით სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა.

2020 წლის სექტემბერში 62 წლის შეინ ვუდი და 61 წლის კიმ ჰოლმანი ესექსის საგრაფოს ქალაქ ჩელმსფორდის შემოგარენში ლითონმაძიებელი მოწყობილობით განძს ეძებდნენ. მათ ათასამდე ოქროს მონეტა იპოვეს, რომლებიც ორი ათას წელზე მეტი ხნის წინ იყო დამზადებული. დიდი ბრიტანეთის კანონის საწინააღმდეგოდ, მათ განძის პოვნის ფაქტი დამალეს.

განძის მაძიებლები ეჭვმიტანილი არიან ქურდობასა და კორონერისთვის ინფორმაციის შეუტყობინებლობაში, რომ მათ აღმოაჩინეს ობიექტი, რომელიც, შესაძლოა, განძი აღმოჩნდეს. ვუდუს ასევე წაყენებული აქვს ბრალდება, რომ მას თან ჰქონდა იარაღი, რომელიც ქურდობის ჩასადენად არის განკუთვნილი. სავარაუდოდ, ბრიტანელი პენსიონერების საქმეს სასამართლო 30 აპრილს განიხილავს.

## ლომმა ტახი მიწიდან შვიდ საათში ამოთხარა



კენიის მასაი-მარას ეროვნულ პარკში ტურისტები ხვადი ლომის მეჭეჭებიან ტახზე თავდასხმის თვითმხილველები გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამის ამსახველი კადრები ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

პარკში ექსკურსიაზე მყოფმა 24 წლის ნაირობელმა ინჟინერმა სუხაიბ ალვიმ შენიშნა ლომი, რომელიც ამ ცხოველებისთვის არადამახასიათებელი საქმით, მიწის თხრით იყო დაკავებული. როგორც გაირკვა, მტაცებელი ასეთი ხერხით ცდილობდა, მისწვდომოდა მეჭეჭებიან ტახს, რომელიც სოროს აფარებდა თავს.

საბოლოოდ ლომის გულმოდგინებამ შედეგი გამოიღო. მან შვიდი საათი მოანდომა მიწის სიღრმიდან 75-კილოგრამიანი ტახის ამოთხრას, რომელიც მის ნადავლად იქცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

•••

ყვავილების გამყიდველი მამაკაცს ეუბნება:

– იყიდეთ ყვავილები.

– არ მჭირდება.

– უყიდეთ ყვავილები ცოლს.

– ცოლი გამშორდა, ჩემგან წავიდა...

– უყიდეთ და დაგიბრუნდებათ!

– ღმერთმა ნუ ქნას!

•••

მატარებლის ვაგონის კუპეთი ქალი და მამაკაცი მგზავრობს. მამაკაცი ქალს ყურადღებას საერთოდ არ აქცევს და თავი გაზეთში აქვს ჩარგული. ბოლოს ქალმა ველარ მოითმინა და მამაკაცს ეუბნება:

– რატომ არ მაქცევთ ყურადღებას? მე ხომ ახალგაზრდა, ლამაზი ვარ და კუპეშიც ჩვენ გარდა არავინაა...

მამაკაცმა გაზეთი დაკეცა, გვერდით გადადო და ჩაილაპარაკა:

– ყოველთვის ხომ ვამბობდი, რომ ჯობია ნახევარი საათი მოითმინო, ვიდრე სამი საათი ევედრო...

•••

ახლად მომშობიარებულების პალატაში მამაკაცი შედის და კითხულობს:

– თქვენ პალატაში წუხელის 21 საათსა და 45 წუთზე, რომელმა იმშობიარა?

– მე ექიმო, – უპასუხა ერთ-ერთმა ქალმა.

– მე ექიმი კი არა, შემდუღებელი ვარ და მაინტერესებდა იმ ქალის ნახვა, რომელმაც სამშობიარო სავარძელს რკინის სახელური მოაგლიჯა!

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ისე, სპერმატოზოიდი როგორი უწყინარი ჩანს, მაგრამ ზოგჯერ მისგან როგორი ნაძირალა გამოდის!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გურამ დოჩანაშვილი გარდაიცვალა



კლასიკოსი მწერალი გურამ დოჩანაშვილი 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ჯანმრთელობის გაუარესების გამო საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

**გიორგი კეკელიძე, მწერალი:**

– ეპოქალური დანაკარგების დღეებია – ერთი გიგანტური ქართველის დაკრძალვის დღეს, მეორე გიგანტური ქართველი დავკარგეთ.

გურამ დოჩანაშვილთან, უკიდურესად მოკრძალებულ ბინაში, თუ ერთხელ მაინც ყოფილხართ, თუ გინახავთ, ეს საოცარი მწერალი როგორ ასხამდა ჩაის, როგორ ჭრიდა პურს მის საყვარელ მეუღლესთან, ნათელასთან ერთად, როგორ უწყლიანდებოდა თვალები სრულიად უბრალო ამბების თხრობისას, მიხვდებოდით – ასეთი ადამიანები ბავშვობიდან კი არ მოდიან, საერთოდაც არასდროს მიდიან ბავშვობიდან.

ასეთ ბავშვებს უზარმაზარი ამბები ახლავთ ხოლმე თან – პროკლამაციის გაკვრისთვის დაჭერილი ახალგაზრდა გურამი მოგვიანებით მოიგონებს, როგორ თათბირობდნენ მეგობრები ბინაში, მათ შორის კოსტავა და გამსახურდია, როგორ აშრობდნენ ახალდაბეჭდილ სველ ფურცლებს, როგორ დასხდნენ უნებლიეთ და როგორ აჰყვათ შარვლებზე ფურცლები. ეს სცენა, ეს სასაცილო და ცოტა ყოფითი სცენა იყო ის მაგიური რეალიზმი, სადაც მერე დოჩანაშვილმა იცხოვრა და ბევრი გვაცხოვრა. ამ უცნაური სცენით დაიწყო ის დიდი ისტორია, რომელმაც ქვეყანა – დამოუკიდებლობამდე, გურამი კი დიდ ლიტერატურამდე მიიყვანა. კაატინგები ბლომად შემოხვდა, მაგრამ ამ კაცს ლიტერატურა უყვარდა და ლიტერატურა კიდევ კაატინგებს ისედაც გულისხმობდა.

წავიდა და დაგვიტოვა ერთი წამი. ის წამი, სადაც ყველამ ვიცით საკუთარი თავი – სწორედ გურამმა გვისახსოვრა. უბრალოდ, ჩვენ ამ წამის შემჩნევამდე ვიძინებთ ხოლმე.

**თეა გვასალია, ტელეწამყვანი:**

– ერთს ვიტყვი. გურამ დოჩანაშვილი ინგლისურ ან ესპანურენოვანი მწერალი რომ ყოფილიყო, „ნობელი“ არ ასცდებოდა.

სადმე, სამხრეთ ამერიკაში რომ დაბადებულიყო, ესპანურად დაწერილი „სამოსელი პირველი“, იმავე პერსონაჟებით, „მარტოობის ას წელიწადთან“ ერთად ითარგმნებოდა მსოფლიოს ყველა ენაზე, „ვატერპოლოო“ სახელმძღვანელოებში შევიდოდა, კეჟერაძეებს კი მთელი მსოფლიო იმ ქვეყნის მოსახლეობასთან გააიგივებდა, რომელსაც მწერლის თავის წიაღში შობის პატივი ერგებოდა წილად.

თვით გენიოსს „კათარზისიდან“ არ მოუწევდა ცოლ-შვილისთვის სადილის ნარჩენების ზიდვა და დღეს მთელი მსოფლიოს საინფორმაციოები მისი გარდაცვალების სამწუხარო ამბით დაიწყებოდა. იმედია, მთაწმინდაზე დარჩენილია მისი ადგილი.

**ოთარ ტატიშვილი, კომპოზიტორი:**

– მარადიული ხსოვნა ბატონ გურამს, ამ ღრმად მოაზროვნე, თვითმყოფად, დიდ მწერალსა და ადამიანს. მისი სული, სათნოება და სიღრმე, მის ხატივით მზერაში იკითხებოდა და გაიმედებდა. მე ასეთი სიახლოვე არ მაკავშირებდა, სამწუხაროდ, მასთან, თუმცა ერთ-ერთი შეხვედრისას ტრაპეზზე მასთან მაქვს გადაღებული სამახსოვრო ფოტო, რომელსაც, რომ შევხედავ, გული მინათდება, იმხელა სითბო მოდის მისი მზერიდან. ძალიან ბევრი ტკივილი განვიცადეთ ამ ბოლო პერიოდში და ახლა კიდევ ერთი უმძიმესი. ნათელში იყოს ბატონი გურამის სპეტაკი სული.

**ნინო სურგულაძე, მომღერალი:**

– ბატონი გურამ დოჩანაშვილი აღარ გვყავს! უდიდესი ქართველი! ბატონი გურამი ჩემი ძმისგან გავიცანი ბავშვობაში. მათ 40 დღე სხალთის მონასტერში გაატარეს ერთად, საიდანაც დიდი სიყვარული დაიბადა და დღემდე მოგვყვება. საოცრად თბილი და მოსიყვარულე ადამიანი დავკარგეთ ყველამ, ვინც მას პირადად ვიცნობდით, თუმცა მისი უდიდესი შემოქმედებით ის ყველას ბატონი გურამი იყო, მთელი საქართველოსა და მსოფლიოს დიდი გურამი.

საოცრად დაუნდობელია ცხოვრება, დიდია ტკივილი, განუზომელი. ღმერთო, გაანათლე ამ დიდი ქრისტიანისა და ადამიანის უკვდავი სული! მშვიდობით, ბატონო გურამ და დროებით!

## გიორგი კელაპტრიშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა



„სიყვარულის სიმღერა“ – ასე ეწოდება „მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის გამარჯვებულის გიორგი კელაპტრიშვილის ახალ ნამუშევარს, რომელიც მან ათასობით გულშემატკივარს წარუდგინა.

სიმღერის ავტორია კომპოზიტორი ქეთი გაბისიანი, ტექსტი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის. სიმღერა გიორგიმ „ბრავო რექორდსში“ ჩაწერა – კლავიში სოლო – ბექა გოჩიაშვილი, კლავიში – პაატა ანდრიაძე, დრამი – დიმიტრი ოგანეზიანი, მიქსინგი – ალეკო ბერძენიშვილი.

ახალ სიმღერაზე მომღერალმა ვიდეორგოლიც გადაიღო, რომლის რეჟისორიც თავად არის. ინტერნეტში გავრცელებულმა გიორგის ახალმა ნამუშევარმა მსმენელში დიდი მოწონება დაიმსახურა.

## გიორგი შენგელაიას სახელობის ქუჩა შინდისში




კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას სახელობის ქუჩა შინდისში გაიხსნა. უფროსი კოლეგის სახელობის ქუჩაზე გადაღებული ფოტო ინტერნეტში მისმა უმცროსმა კოლეგამ რუსუდან გლურჯიძემ გაავრცელა.

გიორგი შენგელაია 82 წლის ასაკში შარშან გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. რეჟისორის სახელის უკვდავსაყოფად შინდისში ხელოვანის სახელობის ქუჩა გაიხსნა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 5 აპრილისათვის

**ვერძი** – ნუ იქნებით აგრესიული. ეს თვისება კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კურო** – ძალზე ფრთხილად იყავით ფინანსური ოპერაციებისას. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** – დღეს ნუ იაქტიურებთ. მშვიდად და თავმდაბლად იმუშავეთ. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **ქალწული** – თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **სასწორი** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **ღრიანკალი** – ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **თხის რქა** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ნებისმიერი ინიციატივა წარუმატებელი იქნება. **მერწყული** – წადით მივლინებაში, სამოგზაუროდ, დაისვენეთ და გაერთეთ ბუნების წიაღში. **თევზები** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული სპორტული რადიო; 2. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 3. მუზეუმი ბერლინში; 4. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 5. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 8. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 9. პატიმრობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; 10. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 12. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 13. იორდანიის დედაქალაქი; 15. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი.

**თარაზულად:** 1. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 6. კამერული ჟანრის მუსიკალური ნაწარმოები; 7. რადიაქტივობის საზომი ერთეული; 10. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 11. მოქანდაკის ხის საჭრისი; 13. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. მდინარე პალესტინა-ისრაელში; 18. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი მომღერალი ქალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

